

1990

ISSN 0203-2023

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



№ 12

1990

საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს

უწყებები

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამომცემა

თბილისი

1961



# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები

12 (605)

დეკემბერი

1990 წელი

## უ ი ნ ა ა რ ს ი

### ბანყოფილება პირველი

- 358. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თ. დ. აბესაძის მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან ვადამდე განთავისუფლების შესახებ.
- 359. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მ. ბ. ფაჩუაშვილის ვაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორად დანიშვნის შესახებ.
- 360. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე სავანგებო წესების გამოცხადების შესახებ.
- 361. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ჰ. ა. ჭიბაშვილის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსად დანიშვნის შესახებ.

### საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

- 362. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ.
- 363. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.
- 364. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სავანგებო წესების შესახებ.
- 365. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

- 366. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას
- 367. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ზოგიერთ საარჩევნო ოლქში ხელახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.
- 368. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება გ. დ. მგელაძის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის თ. ნამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
- 369. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თაობაზე.
- 370. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ.
- 371. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულების შესახებ.
- 372. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომების დროებით რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ.
- 373. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივ კომისიად გარდაქმნის შესახებ.
- 374. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს შესახებ.
- 375. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გეარდიის შექმნის შესახებ.
- 376. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.
- 377. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატების შეტანის თაობაზე
- 378. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზის შესახებ.
- 379. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
- 380. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
- 381. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ.
- 382. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულების შესახებ.



383. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის დანიშვნის შესახებ.
384. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.
385. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ.
386. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის სახალხო განხილვის თაობაზე.
387. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის სახალხო განხილვის თაობაზე.
388. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა შეტანის შესახებ.
389. საქართველოს რესპუბლიკის კახონი საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ.
390. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.
391. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ.
392. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.
393. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
394. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
395. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
396. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ.
397. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების აკრძალვის შესახებ.
398. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო არბიტრის დანიშვნის შესახებ.

### ბანყოფილება მისამი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომები.  
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

## განყოფილება პირველი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**358** თ. დ. აგნასის მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან ვადამდე განთავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: სასამართლო წყობილების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის შესაბამისად ვადამდე განთავისუფლდეს თეიმურაზ დავითის ძე აბესაძე მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია,

თბილისი, 1990 წლის 6 დეკემბერი.

№ 5—I

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის  
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**359** მ. ზ. ფაჩუაშვილის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: დანიშნოს მამუკა ბონდოს ძე ფაჩუაშვილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია,

თბილისი, 1990 წლის 10 დეკემბერი.

№ 10—1

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის  
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**360** ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ შიგნით დღეებში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, და კერძოდ ქ. ცხინვალში, სეპარატისტული ძალების უკანონო დანაშაულებრივმა მო-

ქმედებამ მიაღწია კულმინაციას, ჩატარდა ანტიკონსტიტუციური არჩევნები, გამოცხადდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა“, მოხდა ხელისუფლების უზურპაცია თვითმარქვია ავანტიურისტული ელემენტების მიერ, საფრთხე ემუქრება სამოქალაქო მშვიდობას, ადგილი აქვს ტერიტორიულ აქტებს. დღეს ქ. ცხინვალის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღის გამოყენებით მოკლულ იქნა სამი მოქალაქე, ხოლო სამი დაიჭრა.

მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის, ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაციის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 113-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გამოცხადდეს საგანგებო წესები ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე 1990 წლის 12 დეკემბრიდან. საგანგებო წესების მოქმედების ვადა განისაზღვროს ერთი თვით.

2. ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე და ჯავის რაიონში შემოდებულ იქნეს კომენდანტის საათი 1990 წლის 12 დეკემბრის 22 საათიდან. კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 22.00 საათიდან 7.00 საათამდე.

3. ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის კომენდანტად დაინიშნოს შინაგანი ჯარების დივიზიის მეთაურის მოადგილე პოლკოვნიკი ვ. ი. პუზირნი.

4. მოქალაქეთა უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოსახლეობის უსაფრთხოებისა და სახალხო მეურნეობის ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის გამოყენებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძალები და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები. ისინი მოქმედებენ კანონმდებლობის, წესდებებისა და ამ დადგენილების შესაბამისად.

5. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებსა და მათ რწმუნებულებს ამ დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნულ ტერიტორიაზე „საგანგებო წესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის შესაბამისად მიეცეს უფლება გამოიყენონ შემდეგი ღონისძიებები:

1) გააძლიერონ საზოგადოებრივი წესრიგისა და იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ცხოვლმოქმედებასა და სახალხო მეურნეობის ობიექტების ფუნქციონირებას;

2) შემოიღონ მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

3) აუკრძალონ ცალკეულ მოქალაქეებს დატოვონ დადგენილი ვადით გარკვეული ადგილი, თავისი ბინა (სახლი), გააძევიონ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, რომლებიც არ არიან მოცემული ადგილის მცხოვრებნი, საკუთარი ხარჯით თავიანთ მშუდმეც ადგილსამყოფელში ან იმ ადგილის ფარგლებს გარეთ, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული;

4) დროებით ჩამოართვან მოქალაქეებს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი და ტყვია-წამალი, ხოლო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს — აგრეთვე სასწავლო-სამხედრო ტექნიკა, ფეთქებადი, რადიოაქტიური ნივთიერებანი და მასალები, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებანი;

5) აკრძალონ კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების, აგრეთვე სანახაობრივი, სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა;

6) შეიტანონ ცვლილებანი საწარმო-ორგანიზაციათა პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების გეგმებში, დააწესონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, აგრეთვე გადაწყვიტონ მათი სამეურნეო საქმიანობის სხვა საკითხები;

7) დანიშნონ და გაათავისუფლონ თანამდებობიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები; აკრძალონ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა საკუთარი სურვილით, საპატიო მიზეზით დათხოვნის შემთხვევების გარდა;

8) გამოიყენონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების რესურსები საგანგებო ვითარების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის;

9) აკრძალონ გაფიცვების მოწყობა;

10) ჩააბან შრომისუნარიანი მოქალაქენი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში, აგრეთვე საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში, ამასთან უზრუნველყონ შრომის უსაფრთხოება;

11) შეზღუდონ ან აკრძალონ იარაღით, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებებით, აგრეთვე სპირტიანი სასმელებით და სპირტშემცველი ნივთიერებებით ვაჭრობა;

12) შემოიღონ კარანტინი და გაატარონ სხვა სავალდებულო სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი;

13) შეზღუდონ ან აკრძალონ გასამრავლებელი ტექნიკის, აგრეთვე რადიო და ტელეგადაცემები აპარატურის, აუდიო და ვიდეო ჩამწერი ტექნიკის გამოყენება; ჩამოართვან ხმის გამაძლიერებელი ტექნიკური საშუალებანი; დაუწესონ კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს;

14) შემოიღონ კავშირგაბმულობით სარგებლობის განსაკუთრებული წესები;

15) შეზღუდონ ნატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა და მოაწყონ მათი გასინჯვა;

16) შეაჩერონ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი მოძრაობების, მოქალაქეთა თვითმოქმედი გაერთიანებების საქმიანობა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი აბრკოლებენ ვითარების ნორმალიზაციას;

17) აკრძალონ მოქალაქეთა შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და საქმიანობა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით;

№ 12  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

18) შეამოწმონ დოკუმენტები მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ხოლო საჭიროების შემთხვევებში მოაწყონ პირადი წიგნებისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება.

6. მოქალაქეებს კომენდანტის საათის დროს აკრძალული აქვთ სპეციალურად გაცემული საშვებისა და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე იყვნენ ქუჩებში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში.

7. პირები, რომლებიც ახდენენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის პროვოცირებას, ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს, უშლიან ხელს მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მიერ მათი კანონიერი უფლებების განხორციელებას, არღვევენ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმს, შეიძლება დაკავებულ იქნენ ადმინისტრაციული წესით 30-მდე დღე-ღამის ვადით; ეს პირები შეიძლება მიცემულ იქნენ ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში კანონის შესაბამისად.

8. ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის შემოღებულ იქნეს რკინიგზისა და სხვა კომუნიკაციების დაცვა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ძალების გამოყენებით.

9. ეს დადგენილება ძალაში შედის 1990 წლის 12 დეკემბრის 22.00 საათიდან და მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე.

10. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 12 დეკემბერი.

№ 12—I

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის  
დადგენილება

**361** ზ. ა. ზიკაშვილის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს: დაინიშნოს პამლეტ აკაკის ძე ზიკაშვილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 21 დეკემბერი.

№ 15—I



საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს  
მეორე მიღებული კანონები და დადგენილებები

საქართველოს რესპუბლიკის 0  
კ ა ნ ო ნ ი



**362** საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონ-  
ში) ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად შეტანილ იქნეს საქართველოს რეს-  
პუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებები:

- 1. კონსტიტუციის მე-9 თავი ამოღებულ იქნეს.
- 2. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნეს შემდეგი სიტყვები:

ა) 71-ე მუხლის პირველი ნაწილიდან „და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური  
ოლქი“;

ბ) 72-ე მუხლის მე-8 პუნქტიდან და 119-ე მუხლის პირველი ნაწილიდან:  
„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“;

გ) 85-ე მუხლიდან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“;

დ) 104-ე მუხლის მე-11 პუნქტიდან „ადგენს და ცვლის ავტონომიური ოლ-  
ქის საზღვრებსა და რაიონულ დაყოფას“;

ე) 104-ე მუხლის 26-ე პუნქტიდან: „აგრეთვე ავტონომიური ოლქის სახა-  
ლხო დეპუტატთა საბჭოს“;

ვ) 108-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან, 110-ე მუხლის პირველი ნაწილიდან და  
111-ე მუხლის პირველი ნაწილიდან — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლ-  
ქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს“;

ზ) 112-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლ-  
ქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე“;

თ) 119-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან „ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუ-  
ტატთა საბჭოს გადაწყვეტილებები“;

ი) 125-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან, 141-ე მუხლის პირველი ნაწილიდან,  
153-ე მუხლიდან და 171-ე მუხლიდან „ავტონომიური ოლქის“;

კ) 128-ე მუხლის პირველი ნაწილიდან „აგრეთვე გააუქმოს სამხრეთ ოსე-  
თის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს“;

ლ) 137-ე მუხლიდან „ავტონომიურ ოლქში“;

მ) 150-ე მუხლის პირველი ნაწილიდან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური  
ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო“;

ნ) 163-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლ-  
ქის საოლქო სასამართლო“;

ო) 164-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან „ავტონომიური ოლქის სასამართლოს“  
და „ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო“;

3) 177-ე მუხლის პირველი ნაწილიდან „და ავტონომიური ოლქის“ და „ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს“.

3. კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილს სიტყვა „ასპინძის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „ახალგორის“, სიტყვა „ზესტაფონის“ შემდეგ სიტყვა „ზნაურის“, სიტყვა „ცაგერის“ შემდეგ სიტყვა „ცხინვალის“, სიტყვა „ხონის“ შემდეგ სიტყვა „ჯავის“, სიტყვა „ქუთაისის“ შემდეგ სიტყვა „ცხინვალი“.

4. კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი სიტყვები: „ავტონომიური ოლქების გაუქმება“.

5. კონსტიტუციის 113-ე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„აქვეყნებს ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისათვის — ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და სხვა აქტებს, რომლებსაც მიიღებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ზამხსურაძი.

თბილისი, 1990 წლის 11 დეკემბერი.

№ 62—1 ს.

საპარტიზოლოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

363

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტული ძალები ცდილობენ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნით მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია, ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, ჩააშაშორონ საქართველოს მისი ისტორიული, განუყოფელი ნაწილი, რაც აშკარად ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, არამედ თვით სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს.

მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არაერთი გაფრთხილებისა, აღკვეთილიყო ავტონომიური ოლქის თვითმარჩვია ხელისუფლების უკანონო მოქმედებანი, ოლქში 9 დეკემბერს მიიწვი ჩატარდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შეექმნა.

იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წევლს შეიქმნა ამ რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების უგულვებელყოფით და სრულიად საქართველოს ინტერესების საზიანოდ, რაც არაერთხელ დადასტურდა ოლქის არსებობის მანძილზე, აგრეთვე იმის გამო, რომ ოს ხალხს საბჭოთა კავშირში გააჩნია საკუთარი სახელმწიფოებრიობა თავის ისტორიულ ტერიტორიაზე — ჩრდილოეთ ოსეთში და რომ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში, სადაც მას აქვს და მოქალაქეობა ექნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.
2. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო — აღმასრულებელი კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები.
3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის № 2 დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“ და საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“.

4. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ აღრე მიღებული გადაწყვეტილებები სეპარატისტული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ.

ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიამ წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ;

— განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ზომები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, თვითმარქვია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფუნქციონირების აღსაკვეთად;

— შეუსაბამოს მთავრობის გადაწყვეტილებები ამ კანონს.

7. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განიხილოს და გადაწყვიტოს იმ პირობა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ავ-

ტონომიურ ოლქში არ დაემორჩილნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებს, უხეშად დაარღვიეს კონსტიტუციით დადგენილი არჩევნების ჩატარების წესები, ხელყვეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, ბოროტად გამოიყენეს თანამდებობის პირთათვის კანონით მინიჭებული უფლებები და რწმუნებები.

8. კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბაზსანურდია.

თბილისი, 1990 წლის 11 დეკემბერი.

№ 63—I ს.

### საქართველოს რესპუბლიკის კ ა ნ ო ნ ი

## 364 საგანგებო წესების შესახებ

**მუხლი 1.** საგანგებო წესები არის დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და ამ კანონის შესაბამისად ცხადდება მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, სტიქიური უბედურების, დიდი ავარიების ან კატასტროფების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების, აგრეთვე მასობრივი არეულობის დროს.

საგანგებო წესების გამოცხადების მიზანია ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაცია, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა.

**მუხლი 2.** საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 113-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესებს აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აფრთხილებს მოსახლეობას ცალკეულ ადგილებში საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევებში, შემოიღებს კიდევ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს თხოვნით ან თანხმობით. თანხმობის უქონლობის შემთხვევაში შემოიღებს საგანგებო წესებს და დაუყოვნებლივ შეაქვს მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე დასამტკიცებლად. ამ საკითხზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, რომელიც უნდა შეადგენდეს საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა 2/3-ს.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღება შეუძლია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

**მუხლი 3.** საგანგებო წესების შემოღებისას აღინიშნება ასეთი გადაწყვეტილების მიღების მოტივები, მოქმედების ვადა და ტერიტორიული საზღვრები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელმაც საგანგებო წესები გამოაცხადა, უფლება აქვს გააუქმოს იგი დადგენილი ვადის გასვლამდე ან გაახანგრძლივოს საგანგებო წესები, თუ არ აღმოფხვრა გარემოებანი, რომელნიც მისი გამოცხადების საფუძველი გახდა.

საგანგებო წესების შემოღების, გაახანგრძლივების ან გაუქმების გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის საგანგებოდ დათქმული, და დაუყოვნებლივ ქვეყნდება.

**მუხლი 4.** საგანგებო წესების პირობებში, კონკრეტულ გარემოებათა კვალობაზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი ღონისძიებანი:

1) გააძლიერონ საზოგადოებრივი წესრიგისა და იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის საქმიანობასა და სახალხო მეურნეობის ფუნქციონირებას;

2) დროებით გაასახლონ მოქალაქეები საცხოვრებლად საშიში რაიონებიდან, ამასთან უსათუოდ მისცენ სტაციონარული ან დროებითი სხვა საცხოვრებელი სადგომები;

3) შემოიღონ მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

4) აუკრძალონ ცალკეულ მოქალაქეებს დატოვონ დადგენილი ვადით გარკვეული ადგილი, თავისი ბინა (სახლი), გააძევიან საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, რომლებიც არ არიან მოცემული ადგილის მცხოვრებნი, საკუთარი ხარჯით თავიანთ მუდმივ ადგილსამყოფელში ან იმ ადგილის ფარგლებს გარეთ, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული;

5) დროებით ჩამოართვან მოქალაქეებს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი და ტყვია-წამალი, ხოლო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს — აგრეთვე სასწავლო სამხედრო ტექნიკა, ფეიქებადი, რადიაქტიური ნივთიერებანი და მასალები, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებანი;

6) აკრძალონ კრებების, მიტინგების, ქუჩის მსვლელობებისა და დემონსტრაციების, აგრეთვე სანახაობრივი სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა;

7) შეიტანონ ცვლილებანი საწარმო-ორგანიზაციათა პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების გეგმებში, დააწესონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, აგრეთვე გადაწყვიტონ მათი სამეურნეო საქმიანობის სხვა საკითხები;

8) დანიშნონ და გაათავისუფლონ თანამდებობიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები; აკრძალონ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა საკუთარი სურვილით, საპატიო მიზეზით დათხოვნის შემთხვევების გარდა;

9) გამოიყენონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სურსები საგანგებო ვითარების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის;

10) აკრძალონ გაფიცვების მოწყობა;

11) ჩააბან შრომისუნარიანი მოქალაქენი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში, აგრეთვე საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში, ამასთან უზრუნველყონ შრომის უსაფრთხოება;

12) შეზღუდონ ან აკრძალონ იარაღით, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებებით, აგრეთვე სპირტიანი სასმელებითა და სპირტუმცველი ნივთიერებებით ვაჭრობა;

13) შემოიღონ კარანტინი და გაატარონ სხვა სავალდებულო სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი;

14) შეზღუდონ ან აკრძალონ გასამრავლებელი ტექნიკის, აგრეთვე რადიო და ტელეგადამცემი აპარატურის, აუდიო და ვიდეო ჩამწერი ტექნიკის გამოყენება; ჩამოართვან ხმის გამაძლიერებელი ტექნიკური საშუალებანი; დაუწესონ კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს;

15) შემოიღონ კავშირგაბმულობით საარგებლობის განსაკუთრებული წესები;

16) შეზღუდონ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა და მოაწყონ მათი გასინჯვა;

17) შემოიღონ კომენდანტის საათი;

18) შეაჩერონ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი მოძრაობების, მოქალაქეთა თვითმოქმედი გაერთიანებების საქმიანობა, რომლებიც აბრკოლებენ ვითარების ნორმალიზაციას;

19) აკრძალონ მოქალაქეთა შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და საქმიანობა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით;

20) შეამოწმონ დოკუმენტები მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ხოლო სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მოაწყონ პირადი გასინჯვა, ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება.

**მუხლი 5.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებს უფლება აქვთ გააუქმონ იმ ადგილებში მოქმედი ქვემდგომი ორგანოების ნებისმიერი გადაწყვეტილება, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული.

საგანგებო ვითარების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სამუშაოთა კოორდინაციისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შეუძლია შექმნას სპეციალური დროებითი ორგანოები.

**მუხლი 6.** საგანგებო წესების პერიოდისათვის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფლება აქვთ საჭიროების შემთხვევებში გადაიყვანონ მუშა-მოსამსახურენი მათ დაუკითხავად სამუშაოზე, რომელიც არ არის დათქმული შრომითი ხელშეკრულებით.

**მუხლი 7.** მოქალაქეებს კომენდანტის საათის დროს აკრძალულია სპეციალურად გაცემული საშვებისა და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე იყვინენ ქუჩებში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, ან გამოვიდნენ თავიანთი ბინის ფარგლებს გარეთ, თუ არ ექნათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესის დამრღვევ პირებს აკავებს მილიცია ან პატრული კომენდანტის საათის დამთავრებამდე, ხოლო იმათ, ვისაც თან დოკუმენტები არ აღმოაჩნდება, — მათი პიროვნების დარღვენამდე, მაგრამ არა უმეტეს სამი დღისა; დაკავებულნი შეიძლება პირადად გასინჯონ, აგრეთვე შეიძლება გაუსინჯონ ნივთები, რომლებიც თან აქვთ.

**მუხლი 8.** მე-4 მუხლის 3, 4, 6, 10 და 12-16 პუნქტების შესაბამისად დადგენილი მოთხოვნების, აგრეთვე ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ სახდელს ათას მანეთამდე ჯარიმის სახით, ანდა დაპატიმრებას თხუთმეტ დღემდე ვადით, თუ ეს დარღვევები არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 9.** პროვოკაციული ხმების დაყრა, მართლწესრიგის დარღვევის პროვოკაციულად გამოიწვევი ან ეროვნული შუღლის ჩამომგდები მოქმედება, მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მიერ მათი კანონიერი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებისადმი აქტიური წინააღმდეგობა, აგრეთვე ჯიუტი დაუმორჩილებლობა შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლის, სახალხო რაზმელის ან სხვა იმ პირების კანონიერი განკარგულებისა თუ მოთხოვნისადმი, რომლებიც ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობებს ან იხდიან საზოგადოებრივ ვალს საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად; ანდა სხვა მსგავსი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს, ან ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დარღვევა, რაც ჩადენილია ადგილებში, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული, — იწვევს დაჯარიმებას ათას მანეთამდე ან ოცდაათ დღემდე ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობას.

აღნიშნული სამართალდარღვევების საქმეთა ოქმებს ადგენენ საამისოდ უფლებამოსილი შინაგან საქმეთა ორგანოების ან ცალკეული ადგილის კომენდანტურის მუშაკები.

საქმეებს ამ კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული დარღვევების შესახებ სამი დღის ვადაში ერთპიროვნულად განიხილავენ სახალხო მოსამართლე ან შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსი, ან მისი მოადგილეები, ანდა ცალკეული ადგილის კომენდანტი.

**მუხლი 10.** საგანგებო წესების პირობებში აკრძალულია გაფიცვის ხელმძღვანელობა, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება. იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება ათი ათას მანეთამდე ჯარიმით ან ორ წლამდე ვადით გამასწორებელი სამუშაოებით, ანდა სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით.

**მუხლი 11.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ნაწილები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

**მუხლი 12.** საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციისათვის მოხმობილი ძალების მოქმედების კოორდინაციის, ხელმძღვანელობისა და თანამოქმედების ორგანიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით შეიძლება შეიქმნას ერთობლივი ოპერატიული შტაბი და დაინიშნოს შესაბამისი ადგილის კომენდანტი.

კომენდანტი გამოსცემს ბრძანებებს, რომლებიც არეგულირებენ ამ კანონის ფარგლებში საგანგებო წესების რეჟიმის ხელშეწყობის საკითხებს.

**მუხლი 13.** საგანგებო წესების გამოცხადებისას, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, შეიძლება მოზიდულ იქნენ სპეციალისტები ორ თვემდე ვადით, რომელთა დახმარება საჭიროა სტიქიური უბედურების, დიდი ავარების ან კატასტროფების, ეპიდემიების, ეპიზოტიების შედეგების ლიკვიდაციისათვის.

**მუხლი 14.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ენიჭება უფლება საგანგებო წესების პირობებში შეცვალოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა კანონით დადგენილი ტერიტორიული განსჯადობა.

**მუხლი 15.** საგანგებო ვითარების დროს ან მისი თავიდან აცილებისა თუ ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით, დაზარალებულ მოქალაქეებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები აძლევენ საცხოვრებელ სადგომს, უნაზღაურებელ მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ეხმარებიან სამუშაოზე მოწყობაში და უწყვენ სხვაგვარ დახმარებას.

ბინის მიცემის, ზარალის ანაზღაურებისა და სხვა საჭირო დახმარების გაწევის პირობებსა და წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

**მუხლი 16.** იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილებში, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ თავიანთი ფუნქციების ჯეროვან განხორციელებას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია შემოიღოს დროებითი მმართველობა.

ამასთან, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილება შეჩერდება, ხოლო მათი ფუნქციების განხორციელება ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილ ორგანოს ან მის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირს, რომლებსაც უფლება აქვთ:



გამოიყენონ ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებანი; შეაჩერონ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილება და ღროებით შეასრულონ მათი ფუნქციები;

შეიტანონ წინადადებანი სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებში;

დაიკვემდებარიონ "შესაბამის ადგილას განლაგებული ყოველგვარი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

**მუხლი 17.** საგანგებო წესების გამოცხადებას და გაუქმებას საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუყოვნებლივ ატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

**მუხლი 18.** ეს კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 11 დეკემბერი.

№ 64—I ს.

9649

საქართველოს რესპუბლიკის  
კ ა ბ ნ ო ნ ი



**365** საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კონსტიტუციის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივ მოძრაობებს მათი რესპუბლიკური ორგანოების სახით და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას.“

2. კონსტიტუციის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საჭიროებისამებრ ნებისმიერი საკითხის გამო ქმნის ღროებით კომისიებს.“

3. კონსტიტუციის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილეებს, რაიონების, ქალაქების, ბუნების დაცვის, თავისუფლების აღკვეთის ადგილების ზედამხედველ პროკურორებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი.“

4. კონსტიტუციის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ოქროსფერი ჩუქურთმით შემოსაზღვრული შვიდექიმიანი ვარსკვლავი, რომელსაც ორნამენტში ქიმების გასწვრივ ჩაწული აქვს შვიდი შავარშიიანი თეთრი ბოლნური ჯვარი. როგორც ჯვრების, ასევე ვარსკვლავის ქიმების შიდა ველები ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).“

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამახსურდია.

თბილისი, 1990 წლის 11 დეკემბერი.

№ 65—1 ს.

საქართველოს რესპუბლიკის  
 კ ა ნ ო ნ ი

**366** საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად გარდამავალ პერიოდში უნდა მოხდეს საბჭოური სტრუქტურების დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბება ამასთან, საქართველოს სსრ სახალხო დემუტატთა XX მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დემუტატთა უფლებამოსილების ვადა 1989 წლის 21 დეკემბერს გავიდა. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით მათი უფლებამოსილება გაგრძელდა ახალ არჩევნებამდე, ხოლო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 20 მარტის დადგენილებით — 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრამდე. აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები 1991 წლის 3 მარტს.

2. ხელისუფლების ახალი ადგილობრივი ორგანოების არჩევამდე შეწყდეს სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების უფლებამოსილება.

3. ხელისუფლების ახალი ადგილობრივი ორგანიზების არჩევამდე სახალხო დემუკრატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ამ რეგიონებიდან არჩეული დემუკრატების მიერ აღმასრულებელ კომიტეტებთან ფორმირებული დროებითი კომისიების დახმარებით.

4. ეს კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 11 დეკემბერი.  
№ 66—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**367** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დემუკრატთა არჩევნების ზომიერით საარჩევნო ოლქში ხელახალი არჩევნების დანიშნვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დემუკრატთა ხელახალი არჩევნები № 78 ლენტეხის, № 88 აბაშისა და № 125 ახალგორის საარჩევნო ოლქებში დაინიშნოს 1991 წლის 3 თებერვალს, ხოლო № 103 ტყვარჩელის, № 106 გუდაუთის, № 121 ცხინვალისა და № 123 ჯავის საარჩევნო ოლქებში გადატანილ იქნეს 1991 წლის გაზაფხულისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 11 დეკემბერი.  
№ 67—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**368** გ. დ. მგელაძის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო აბროსაგარეო ურთიერთობების მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

გათავისუფლდეს გურამ დავითის ძე მგელაძე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის — საქართველოს

რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის თაყაიშვილის  
ნამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 11 დეკემბერი.  
№ 68—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
დადგენილება

**369** მ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრედიტის დადგენილების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილება „ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“ და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით (თან ერთვის).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 13 დეკემბერი.  
№ 69—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კრედიტის  
დადგენილება

**370** მ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ბოლო დღეებში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, და კერძოდ ქ. ცხინვალში, სეპარატისტული ძალების უკანონო დანაშაულებრივმა მოქმედებამ მიაღწია კულმინაციას, ჩატარდა ანტიკონსტიტუციური არჩევნები, გამოცხადდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა“, მოხდა ხელისუფლების უზურბაცია თვითმარქვია ავანტიურისტული ელემენტების მიერ. საფრთხე ემუქრება სამოქალაქო მშვიდობას, ადგილი აქვს ტერორისტულ აქტებს. დღეს ქ. ცხინვალის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ცეცხლსასროლი ავტომა-

ტური იარაღის გამოყენებით მოკლულ იქნა სამი მოქალაქე, ხოლო სამი დაზარალებული დაიწვია.

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის, მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის, ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაციის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 113-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გამოცხადდეს საგანგებო წესები ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე 1990 წლის 12 დეკემბრიდან. საგანგებო წესების მოქმედების ვადა განისაზღვროს ერთი თვით.

2. ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე და ჯავის რაიონში შემოდებულ იქნეს კომუნდანტის საათი 1990 წლის 12 დეკემბრის 22 საათიდან. კომუნდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 22.00 საათიდან 7.00 საათამდე.

3. ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის კომუნდანტს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი.

4. მოქალაქეთა უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოსახლეობის უსაფრთხოებისა და სახალხო მეურნეობის ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის გამოყენებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძალები და ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში განლაგებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები. ისინი ხელმძღვანელობენ იმ კანონებითა და წესდებებით, რომლებიც არ ხელყოფენ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს, აგრეთვე ამ დადგენილებით.

5. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებსა და მათ რწმუნებულებს ამ დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნულ ტერიტორიაზე „საგანგებო წესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის შესაბამისად მიეცეს უფლება გამოიყენონ შემდეგი ღონისძიებები:

1) გააძლიერონ საზოგადოებრივი წესრიგისა და იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ცხოველქმედებასა და სახალხო მეურნეობის ობიექტების ფუნქციონირებას;

2) შექმნიდნენ მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

3) აუკრძალონ ცალკეულ მოქალაქეებს დატოვონ დადგენილი ვადით გარკვეული ადგილი, თავისი ბინა (სახლი), გააძევიან საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, რომლებიც არ არიან მოცემული ადგილის მცხოვრებნი, საკუთარი ხარჯით თავიანთ მუდმივ ადგილსამყოფელში ან იმ ადგილის ფარგლებს გარეთ, სადაც საგანგებო წესებია გამოცხადებული;

4) დროებით ჩამოარგან მოქალაქეებს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი და ტყვია-წამალი, ხოლო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს —

აგრეთვე სასწავლო სამხედრო ტექნიკა, ფეტიქებადი, რადიოაქტიური ნივთიერებანი და მასალები, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებანი.

5) აკრძალონ კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების, აგრეთვე სანახაობრივი, სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიებების მოწყობა;

6) შეიტანონ ცვლილებანი საწარმო-ორგანიზაციათა პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების გეგმებში, დააწესონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, აგრეთვე გადაწყვიტონ ნათი სამეურნეო საქმიანობის სხვა საკითხები;

7) დანიშნონ და გაათავისუფლონ თანამდებობიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აკრძალონ მუშა-მოსამსახურეთა სანუშაოდან დათხოვნა საკუთარი სურვილით, საპატიო მიზეზით და თხოვნის შემთხვევების გარდა;

8) გამოიყენონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების რესურსები საგანგებო ვითარების შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის;

9) აკრძალონ გაფიცების მოწყობა;

10) ჩააბან შრომისუნარიანი მოქალაქენი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში, აგრეთვე საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში, ამასთან უზრუნველყონ შრომის უსაფრთხოება;

11) შეზღუდონ ან აკრძალონ იარაღით, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებებით, აგრეთვე სპირტიანი სასმელებითა და სპირტშემცველი ნივთიერებებით ვაჭრობა;

12) შემოიღონ კარანტინი და გაატარონ სხვა სავალდებულო სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი;

13) შეზღუდონ ან აკრძალონ ვასამრავლებელი ტექნიკის, აგრეთვე რადიო და ტელეგადამცემი აპარატურის, აუდიო და ვიდეო ჩამწერი ტექნიკის გამოყენება, ჩამოართვან ხმის გამაძლიერებელი ტექნიკური საშუალებანი; დაუწესონ კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს;

14) შემოიღონ კავშირგაბმულობის სარგებლობის განსაკუთრებული წესები;

15) შეზღუდონ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა და მოაწყონ მათი გასინჯვა;

16) შემოიღონ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივ ორგანიზაციების, მასობრივი მოძრაობების, მოქალაქეთა თვითმოქმედი გაერთიანებების საქმიანობა იმ შემთხვევაში, თუ ისინი აბრკოლებენ ვითარების ნორმალიზაციას;

17) აკრძალონ მოქალაქეთა შეიარაღებული ფორპირებების შექმნა და საქმიანობა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით;

18) შეამოწმონ დოკუმენტები მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოაწყონ პირადი ვასინჯვა, ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება.



6. მოქალაქეებს კომენდანტის საათის დროს აკრძალული აქვთ სპეციალურად გაცემული საშვებისა და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე იყენენ ქუჩებში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში.

7. პირები, რომლებიც ახდენენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის პროვოცირებას, ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს, უშლიან ხელს მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მიერ მათი კანონიერი უფლებების განხორციელებას, არღვევენ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმს, შეიძლება დაკავებულ იქნენ ადმინისტრაციული წესით 30-მდე დღე-ღამის ვადით; ეს პირები შეიძლება მიცემულ იქნენ ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში კანონის შესაბამისად.

8. ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის შემოღებულ იქნეს რკინიგზისა და სხვა კომუნიკაციების დაცვა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ძალების გამოყენებით.

9. ეს დადგენილება ძალაში შედის 1990 წლის 12 დეკემბრის 22.00 საათიდან და მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე.

10. საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოსა და სსრ კავშირის პრეზიდენტს.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო წესების გაშოცხადების შესახებ აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანსა და სთხოვოს მას მოავლინოს საქართველოს რესპუბლიკაში თავისი მეთვალყურენი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია,

თბილისი, 1990 წლის 12 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

**371** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულება თანახმად დანართისა.

კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია,

თბილისი, 1990 წლის 20 დეკემბერი.

№ 70—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის  
 საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომების მთელი დროის განმავლობაში, აგრეთვე უზენაესი საბჭოს ან მისი მუდმივი კომისიების დავალებათა შესრულებისათვის დეპუტატის უფლებამოსილებათა გამსახორციელებლად უზენაესი საბჭოს ის წევრები, რომელთაც არ შეუწყვეტიათ თავიანთი ძირითადი შრომითი საქმიანობა, თავისუფლდებიან საწარმოო თუ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან და მათ უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილას.

2. დღიდან არჩევისა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ყოველთვიური ხელფასია 1-200 მანეთი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებისა — 1-000 მანეთი, მუდმივი კომისიებისა და უზენაესი საბჭოს სხვა ორგანოების (საბჭოვნო, პრესცენტრი, ინფორმაციისა და პროგნოზირების ცენტრი) ხელმძღვანელებისა — 800 მანეთი, მათი მოადგილეებისა — 750 მანეთი და ამ ორგანოების მდივნებისა — 700 მანეთი, კომისიათა ხელმძღვანელებისა — 650 მანეთი.

უზენაესი საბჭოს სხვა წევრებს, რომლებიც წყვეტენ საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, საწარმოო თუ სამსახურებრივი საქმიანობის შეწყვეტის დღიდან ეძლევათ ყოველთვიური ხელფასი 600 მანეთის ოდენობით.

3. მაუორიტარული წესით არჩეულ უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს აიყვანოს რწმუნებული ან რწმუნებულები. რწმუნებულის სამუშაოზე მიღებასა და გათავისუფლებას აფორმებს უზენაესი საბჭოს სამდივნოს კადრების განყოფილება უზენაესი საბჭოს წევრსა და მის რწმუნებულს (რწმუნებულთა) შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. რწმუნებულის (რწმუნებულთა) ხელფასისათვის გამოყოფილია თანხა 300 მანეთამდე. შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ცალმხრივად.

4. სადებუტატო საქმიანობისათვის ხელის შეწყობის მიზნით, უზენაესი საბჭოს წევრის განაცხადის საფუძველზე, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მოვალენი არიან აღმოუჩინონ მას ყოველნაირი დახმარება.

5. უზენაესი საბჭოს წევრი და მისი ოჯახის წევრები, რომლებიც არ არიან ჩაწერილი ქ. თბილისში, უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილები მთელ პერიოდში უზრუნველყოფილი უნდა იქნენ საცხოვრებელი ფართით დებუტატებისათვის განკუთვნილ სასტუმროში. სასტუმროში ცხოვრების ხარჯებს დეპუტატსა და მისი ოჯახის წევრებს უნაზღაურებს უზენაესი საბჭოს სამდივნოს ბუღალტერია უნაზღო ანგარიშსწორების წესით. უზენაესი საბჭოს წევრსა და მისი ოჯახის წევრებს უნარჩუნდებათ უფლება საცხოვრებელ ფართზე მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.



6. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი საქართველოს რესპუბლიკის შთელ ტერიტორიაზე სარგებლობს ყველა სახის ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) უფასოდ მგზავრობის უფლებით.

7. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყველა წევრს დეპუტატის უფლებამოსილების განსახორციელებლად ხარჯებისათვის ყოველთვიურად ეძლევა 200 მანეთი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
დადგენილება

**372** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომების  
დროებითი რეგლამენტში ცვლილების უბანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტის მე-11 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„კანონებისა და სხვა აქტების პროექტთა შესწორებებს კენჭს უყრიან, როგორც წესი, მას შემდეგ, რაც მათ თაობაზე დასკვნას წარმოადგენს უზენაესი საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისია ან ერთობლივად რამდენიმე მუდმივი კომისია. იმ შემთხვევაში, თუ კანონისა ან სხვა აქტის მიღება საჭიროა სხდომაზე, რომელზეც შემოთავაზებულ იქნა შესწორება, კენჭისყრა გაიმართება მხოლოდ უახლოესი შესვენების შემდეგ, რომლის დროსაც შესაბამისი მუდმივი კომისია მოამზადებს დასკვნას.

იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი არ დაეთანხმება კომისიის დასკვნას, მისი მოთხოვნით შემოთავაზებულ შესწორებას კენჭი უნდა უყარონ როგორც ალტერნატიულ წინადადებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახშარიძე,

თბილისი. 1990 წლის 20 დეკემბერი.

№ 71—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
 დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**373** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივ კომისიად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

გარდაიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივ კომისიად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია,

თბილისი, 1990 წლის 20 დეკემბერი.

№ 72—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
 დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**374** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნო. ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობა და განყოფილებები.

2. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს სტრუქტურა და შტატები.

3. ეს დადგენილება ძალაში შედის 1990 წლის 20 დეკემბრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია,

თბილისი, 1990 წლის 20 დეკემბერი.

№ 74—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის  
 კ ა ნ ო ნ ი

**375** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს — ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ

„დამიანის უფლებათა დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 15 ნოემბრის

დადგენილების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას შინაგანი ჯარები — ეროვნული გვარდია.

2. შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის საერთო ხელმძღვანელობისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჩამოყალიბდეს მთავარი სამმართველო, რომლის უფროსი იმავდროულად იქნება შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

შინაგან ჯარებს — ეროვნულ გვარდიას მეთაურობს სარდალი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

3. შინაგანი ჯარები — ეროვნული გვარდია მოწოდებულია იცავდეს სამშობლოს ინტერესებს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და პირად ღირსებას, მათს კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს დანაშაულებრივი ხელყოფისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისაგან;

მონაწილეობს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა აღკვეთაში, თუ ამ დარღვევებს ძასობრივი ხასიათი აქვს, საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, იწვევს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის დეზორგანიზაციას;

მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ გამოცხადებული საგანგებო წესების განხორციელებაში, საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციაში; ხელს უწყობს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

4. მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის გამოყენება ხდება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

5. შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რიგითი შემადგენლობის დეკომპლექტება ხდება საყოველთაო-სამხედრო ვალდებულების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებით, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ, ხოლო მეთაურთა შემადგენლობისა — საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებით ნებაყოფლობით საფუძველზე, კონტრაქტით.

6. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატმა განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის წევვამდგელებითა და მეთაურთა შემადგენლობით დასაკომპლექტებლად.

7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის ორგანიზაციული, მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები.

8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრი-

გის კომისიებმა მოამზადონ შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები რომლებიც დაკავშირებულია შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის შექმნასა და ფუნქციონირებასთან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 20 დეკემბერი.

№ 75—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის  
კ ა ნ ო ნ ი

**376** საქართველოს რესპუბლიკის წარსულში საკანონმდებლო აქტში  
ცვლილებებისა და დამატების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილება და დამატება საქართველოს რესპუბლიკის შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. საქართველოს სსრ 1970 წლის 18 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსის 15-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. საქორწინო ასაკი

საქორწინო ასაკად მამაკაცებისათვის დაწესებულია 17 წელი, ქალებისათვის — 16 წელი“.

2. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლის დასახელება და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 119. სქესობრივად მოუმიწიფებელ პირთან სქესობრივ კავშირი

სქესობრივად მოუმიწიფებელ პირთან სქესობრივი კავშირი — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 20 დეკემბერი.

№ 76—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის  
კ ა ნ ო ნ ი**377** „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში და  
მათავის შეთანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონს სამართლიანობისა და ჰუმანიზმის პრინციპების გათვალისწინებით დაემატოს შემდეგი შინაარსის 71 მუხლი:

71. გათავისუფლდნენ სასჯელისაგან დანიშნული ვადის მიუხედავად, მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფისათვის საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 93-ე, 94-ე და 96<sup>1</sup> მუხლების საფუძველზე, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც ასეთი ქმედება ჩაიდინეს ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის გზით.

შეწყდეს ზემოაღნიშნულ დანაშაულთა გამო აღძრული ყველა საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმისწარმოება“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

№ 77—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**378** საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური  
განვითარების 1991 წლის პროგნოზის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და 1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების განმსაზღვრელი სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზი“, რომელიც შემუშავებულია საწარმოების, დარგებისა და რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სავარაუდო მონაცემთა საფუძველზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მყარი ფუნქციონირებისა და სხვა რესპუბლიკებთან ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროში თანამშრომლობის, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი გაცვლის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

დაამტკიცოს და შემსრულებლებამდე დაიყვანოს 1991 წელს სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდებისა და სამუშაოთა შესრულების დავალებები მათი ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით დაბალანსების გათვალისწინებით:

დაადგინოს, რომ სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდებისა და სამუშაოთა შესრულების დავალებები სავალდებულოა საწარმოთა პროგრამაში შესატანად და შესასრულებლად:

აცნობოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს ბაზრის ტევადობის საორიენტაციო პარამეტრები — სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, სხვა დარგთა პროდუქციისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამუშაოების წარმოებისა და შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლები 1991 წლისათვის.

3. 1991 წელს სახალხო მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნისა და სტაბილიზაციის, საბაზრო ურთიერთობის ფორმების დანერგვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებად მიჩნეულ იქნეს:

რესპუბლიკასა და მის ყველა რეგიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია:

ფინანსებისა და ფულადი მიმოქცევის გაჯანსაღება და სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაცია:

ურთიერთშეთანხმებული სოციალური გარანტიების სისტემის პრაქტიკაში დანერგვა და მოსახლეობის დასაქმების ერთიანი პოლიტიკის ფორმირება მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერისათვის ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი სახსრებიდან რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სამართლიანი წილის მიღებისა და მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფის გათვალისწინებით:

სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობისა და ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ღონისძიებათა თანამიმდევრული განხორციელება საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის სამუშაოთა ფართოდ გაშლის პირობებში

4. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის სამინისტროებს, საწარმოებს, უწყებებს, ორგანიზაციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მათს განკარგულებაში არსებული სავალუტო სახსრების გამოყენების მიმართულებათა განსაზღვრისას, უწინარეს ყოვლისა, გაითვალისწინონ მათი ხარჯვა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისა და მოსახლეობისათვის გასაწევი მომსახურების მოცულობის გასაზიარებლად საჭირო ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელ ნაკეთობათა და მოწყობილობათა შეძენისათვის.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ აშკარად მიმდინარეობს სხვა რესპუბლიკებთან ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებათა დადების პროცესი, რომელმაც უნდა შექმნას სათანადო პირობები როგორც ძველი სამეურნეო ურთიერთობების შენარჩუნების, ასევე ახალი კავშირების ჩამოყალიბებისათვის. ამ პროცესის მიზანდასახული წარმართვისა და 1991 წლის პროგნოზით შემუშავებული საწარმოო და სამშენებლო პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, საწარმოებსა და გაერთიანებულს გააქტიურონ მუშაობა შესაბამისი საწარმოო კავშირების ძებნარჩუნება-გაძლიერების, სანედლეულო რესურსების ახალი ალტერნატიული წყაროების გამოძიების, შრომითი და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახშარიძე.

თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

№ 78—1 ს.

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

## 379 საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საფუძვლის მომზადება გარდამავალ პერიოდში, რასაც ითვალისწინებს საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 14 ნოემბრის კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“. აგრეთვე უნდა შექმნას ძტიციე ფინანსური ბაზა რესპუბლიკის ეკონომიკის სტაბილიზაციისა და შენდგოში განვითარებისათვის.

რესპუბლიკაში შექმნილმა რთულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ, რესპუბლიკათშორისი და დარგათშორისი კავშირების მოშლამ, რაც განაპირობა მართვის ტოტალიტარულმა სისტემამ. მნიშვნელოვნად გაართულა სახალხო მეურნეობის დარგების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგება, შეაფერხა მუშაობა და გააუარესა მათი ფინანსური მდგომარეობა. გამწვავდა სამომხმარებლო ბაზრის პრობლემები, მნიშვნელოვანი შეფერხებებით მიმდინარეობს რესპუბლიკის მოსახლეობის სახალხო მომარების საქონლითა და სურსათით მომარაგება, იმატა ფულის გაუფასურების

ტემპმა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის რეალურ შემოსავლებზე.

ასეთ ვითარებაში საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მიღწევის გარდამავალ ეტაპზე და რომელიც პირველად ყალიბდება ცენტრის ტოტალიტარული დიქტატისაგან დამოუკიდებლად, აწყდება ხელოვნურად შექმნილ ურთულეს წინააღმდეგობებს. საკავშირო მთავრობამ მის მიერ ეკონომიკის უუნარო გაძლოლით გამოწვეული ფინანსური სიძნელეების აბსოლუტური უმეტესობა რესპუბლიკებს გადააბარა. სახელდობრ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის შესასყიდი ფასების გადიდებასთან დაკავშირებული ფასთასხვაობების ანაზღაურება საკავშირო ბიუჯეტს ააცილეს და რესპუბლიკის ბიუჯეტმა უნდა დაფაროს. რესპუბლიკის ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს აგრეთვე ხელფასებისა და პენსიების მნიშვნელოვან მომატებასთან დაკავშირებული ხარჯები, ამგვარმა და სხვა იმპერიულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო გაართულა დამოუკიდებლობის აღდგენის ვაზზე მდგომი რესპუბლიკის ეკონომიკური სიძნელეები და გაზარდა მომავალი წლის ბიუჯეტის დეფიციტი, რაც მოითხოვს არაორდინარული, განსაკუთრებული ღონისძიებების განხორციელებას საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობისა და რენტაბელობის დონის მკვეთრი ამაღლების, ზარალიანობის ლიკვიდაციის, ყველა სახის რესურსების გამოყენებაში მოჭირანეობის უმეცრესი რეჟიმის განხორციელების, არამწარმოებლური და უნაყოფო დანაკარგების მინიმუმამდე შემცირების ხარჯზე, რათა მყარი გახდეს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და უზრუნველყოფილ იქნეს ამ ბიუჯეტის ხარჯების რაციონალური გამოყენება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით შემოსავლის ნაწილში 5524731 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 6534118 ათასი მანეთის ოდენობით.

განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა 1009387 ათასი მანეთის ოდენობით.

დადგინდეს, რომ ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება ფაქტობრივად მიღებული შემოსავლის ფარგლებში.

**მუხლი 2.** დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს კონკრეტული წინადადებები რესპუბლიკური ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად.

რეკომენდაცია მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შესაბამისი სამუშაოების ჩატარების თაობაზე.





**მუხლი 3.** დაწესდეს, რომ ბრუნვის გადასახადი და საქართველოს რესპუბლიკის ბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯარიმებიდან და სანქციებიდან მიღებული შემოსავლები, საბაჟო გადასახადი, აუქციონების ჩატარებით მიღებული შემოსავლები, სხვა არასაგადასახადო შემოსავლები და მოსაკრებლები მთლიანად ჩაირიცხება რესპუბლიკის ბიუჯეტში.

**მუხლი 4.** დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები:

1. ბრუნვის გადასახადიდან — 2029900 ათასი მანეთი;
2. სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი — 1065837 ათასი მანეთი;

მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი — 266000 ათასი მანეთი;

3. მოსახლეობიდან გადასახადები — 743900 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღებისა და სტაბილიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდი 1332430 ათასი მანეთის ოდენობით და დაწესდეს, რომ მასში ჩაირიცხება საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების:

— მოგება, რომელიც მიღებულია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ანარიცხების ტარიფების 11 პროცენტით შემცირებით;

— ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების 20 პროცენტი;

— შემოსავალი, მიღებული წლის დასაწყისისათვის დარიცხული ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ნაშთიდან, 50 პროცენტის ოდენობით;

— გადასახადი გაყიდვიდან სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საქონელბრუნვის, რეალიზაციის, სამუშაოთა მოცულობის, მომსახურებისა და სხვა სახის სამეურნეო საქმიანობის მოცულობის 5 პროცენტამდე ოდენობით;

— შემოსავალი, მიღებული 1991 წლის 1 იანვრისათვის რიცხული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთის გადაფასების შედეგად.

ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდის სახსრები მოხმარდეს სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, სუბვენციების გამოყოფას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებისათვის, სხვა მიზნობრივი ხარჯების დაფინანსებას.

**მუხლი 6.** დაწესდეს, საკუთრების ფორმის მიუხედავად, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების (კოლმეურნეობების გარდა), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი 45

პროცენტის, ხოლო კოლმეურნეობების მოგებიდან გადასახდი 35 პროცენტის ოდენობით.

**მუხლი 7.** დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის, კერძოდ, მრეწველობის, აგროსამრეწველო და სამშენებლო კომპლექსების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის განკუთვნილი ხარჯები 1826603 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 8.** დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური და კულტურული ღონისძიებებისათვის, კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, ტელევიზიის, რადიო-მაუწყებლობის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის, საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის, აგრეთვე მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის (პროდუქციაზე საცალო ფასების მოწესრიგების საკომპენსაციოდ), პენსიების, დახმარებების, სანატორიულ-საკურორტო და სხვა ღონისძიებების ხარჯების სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა და მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანებზე გადაამეტის დაფარვისათვის განკუთვნილი ასიგნებანი 4305589 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 9.** დამტკიცდეს 1991 წლის სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა და მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანებიდან შემოსავლები 1549000 ათასი მანეთის, ხოლო პენსიების, დახმარებების, სანატორიულ-საკურორტო და სხვა ღონისძიებების ხარჯები 2295172 ათასი მანეთის ოდენობით, ხარჯების შემოსავლებზე 744172 ათასი მანეთის გადაამეტებით, რომელიც დაიფაროს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებიდან.

**მუხლი 10.** დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, სასამართლოებისა და სამართალდამცველი ორგანოების შესანახი ასიგნებანი 177379 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 11.** დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 4412184 ათასი მანეთის, გასავლის ნაწილში 5196688 ათასი მანეთის ოდენობით, ამ ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა 784504 ათასი მანეთისა და საბიუჯეტო საბრუნავი სახსრები 1991 წლის 1 იანვრისათვის 39335 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 12.** გამოეყოს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სუბვენციები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტს, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებს 169738 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 13. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1991 წლის ბიუჯეტები, ამ ბიუჯეტების დეფიციტის ზღვრული თანხა შემდეგი ოდენობით:

(ათას მანეთობით)

ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქებისა და რაიონების დასახელება	შემოსავალი	სუბვენუი რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	დეფიციტის ზღვრული ოდენობა	გასაჯარი
აფხაზეთის ასსრ	120757,5	—	20677,8	141435,3
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	82294,6	8769,2	16075,0	107138,8
1. თბილისი	392364,9	—	69226,8	461591,7
1. ქუთაისი	58283,4	14951,5	12929,0	86153,9
1. ცხინვალი	9429,5	5968,1	2722,0	18119,6
1. ფოთი	14197,4	3608,3	3147,0	20952,7
1. ჭიათურა	11909,3	2847,7	2610,0	17367,0
1. რუსთავი	36937,7	7856,8	7910,0	52704,5
1. გორი	10535,7	1237,0	2083,0	13855,7
1. ქუჩბულო	6584,3	1643,1	1457,0	9684,4
1. ზუგდიდი	9882,3	—	1569,0	11451,3
1. წყალტუბო	11288,9	—	1540,1	12829,0
აბაშის რაიონი	2968,5	3833,5	1206,0	8008,0
ადიგენის რაიონი	2130,3	4301,8	1140,0	7572,1
ამბროლაურის რაიონი	2526,0	3093,5	997,0	6616,5
ასპინძის რაიონი	1680,7	3030,8	837,0	5548,5
ახალგორის რაიონი	1769,4	1971,3	665,0	4405,7
ახალქალაქის რაიონი	8668,8	3188,2	2098,0	13955,0
ახალციხის რაიონი	6863,1	4469,2	2005,0	13337,3
ახმეტის რაიონი	5310,7	3297,8	1525,0	10133,5

აღტონომიური რესპუბლიკის, ქალაქებისა და რაიონების დასახელება	შემოსავალი	სუბვენია რესპუ- ბლიკური ბიუჯე- ტიდან	დეფიციტის ზღვრე- ლი ოდენობა	გასავალი
ბალღათის რაიონი	3649,5	3134,9	1203,0	7987,4
ბოგდანოვკის რაიონი	5634,9	2352,8	1415,0	9402,7
ბოლნისის რაიონი	9997,9	1548,6	2043,0	13589,5
ბორჯომის რაიონი	6296,8	2254,8	1514,0	10065,6
გარდაბნის რაიონი	14956,1	—	2541,6	17497,7
გორის რაიონი	11140,5	1084,0	2163,0	14387,5
გურჯაანის რაიონი	10404,7	1835,8	2165,0	14405,5
ღმინისის რაიონი	5210,4	3325,2	1512,0	10047,6
ღუშეთის რაიონი	6519,6	2039,6	1516,0	10075,2
ღანის რაიონი	3805,9	3429,9	1282,0	8517,8
ზესტაფონის რაიონი	12016,9	915,8	2288,0	15220,7
ზნაურის რაიონი	1170,2	1738,0	519,0	3427,6
ზუგდიდის რაიონი	10521,0	1027,7	2043,0	13591,7
თეთრი წყაროს რაიონი	6416,1	151,1	1404,0	9330,2
თელავის რაიონი	11597,7	3411,4	2654,0	17663,1
თერჯოლის რაიონი	5590,1	2293,1	1397,0	9230,2
თიანეთის რაიონი	1713,8	3212,7	875,0	5801,5
თსვის რაიონი	8397,4	516,0	1578,0	10491,4
ლაგოდეხის რაიონი	7305,4	2264,5	1694,0	11263,9
ლანჩხუთის რაიონი	7882,9	92,7	1413,0	9388,6
ლენტეხის რაიონი	1078,3	3516,0	816,0	5410,3
მარნეულის რაიონი	18953,9	—	3264,3	22218,2
მარტვილის რაიონი	4819,9	4495,7	1649,0	10964,6
მესტიის რაიონი	1692,8	5253,4	1231,0	8177,2
მცხეთის რაიონი	8908,9	—	1494,3	10403,2

იკონომიკური რესპუბლიკის, ქალაქებისა და რაიონების დასახელება	შემოსავალი	სუბვენცია რესპუ- ბლიკური ბიუჯე- ტიდან	დეფიციტის ზღვრუ- ლი ოდენობა	გასაკალო
ოზურგეთის რაიონი	17737,3	—	3046,3	20783,6
ონის რაიონი	1976,8	2239,8	749,0	4965,6
საგარეჯოს რაიონი	7378,0	1834,9	1631,0	10843,9
სამტრედიის რაიონი	10819,5	—	1856,1	12676,1
საჩხერის რაიონი	4706,9	3487,8	1451,0	9645,7
სენაკის რაიონი	10172,7	—	1754,9	11927,6
სიღნაღის რაიონი	7265,4	2096,9	1657,0	11019,3
ქარელის რაიონი	5050,5	3659,0	1542,0	10251,5
ყაზბეგის რაიონი	2206,1	819,1	539,0	3564,2
ყვარლის რაიონი	5336,7	2797,0	1441,0	9574,7
მთხარაურის რაიონი	3955,4	2622,7	1166,0	7744,1
ჩხოროწყუს რაიონი	4070,5	3484,0	1339,0	8893,5
ცაგერის რაიონი	1771,2	3863,5	1000,0	6634,7
ცხინვალის რაიონი	3411,8	473,8	691,0	4576,6
წალენჯიხის რაიონი	8707,5	610,5	1650,0	10968,0
წალკის რაიონი	5315,0	3837,4	1621,0	10773,4
წითელწყაროს რაიონი	5225,4	2051,7	1290,0	8567,1
ხარაგაულის რაიონი	2566,4	4019,4	1167,0	7752,8
ხაშურის რაიონი	9416,9	343,0	1728,0	11487,9
ხობის რაიონი	6618,8	1197,1	1385,0	9200,9
ხონის რაიონი	4655,5	3561,2	1455,0	9671,7
ჯაგის რაიონი	2118,1	1418,6	629,0	4165,7
სულ რესპუბლიკაში:	1112547,0	169738,3	224882,7	1507168,0

**მუხლი 14.** დამტკიცდეს 1991 წლისათვის სახელმწიფო გადასახადები და შემოსავლები საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) მოსახლეობის გადასახადები (გარდა მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადისა), სატყეო შემოსავალი, სატრანსპორტო საშუალებათა და თვითმავალი მექანიზმების მფლობელთა გადასახადი, საპატენტო გადასახადი, ფულისა და ჩივთების ლატარიის ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, სახელმწიფო ბაჟი, საბაჟო გადასახადი, შენობის მფლობელთა და მიწის გადასახადი, სხვა ადგილობრივი გადასახადები, შემოსავლები ჯარიმებიდან და სანქციებიდან, აუქციონების ჩატარებიდან, მოსაკრებლუნიდან და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებიდან, გაერთიანებებიდან და ორგანიზაციებიდან სხვა არასავადსახადო შემოსავლები;

ბ) მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადი აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტში — 69 პროცენტის, ქ. თბილისის ბიუჯეტში — 38 პროცენტის, ქ. ზუგდიდის — 56 პროცენტის, ქ. წყალტუბოს — 85 პროცენტის, გარდაბნის რაიონის ბიუჯეტში — 19 პროცენტის, მარნეულის — 64 პროცენტის, მცხეთის — 32 პროცენტის, ოზურგეთის — 90 პროცენტის, სამტრედიის — 42 პროცენტის, სენაკის რაიონის ბიუჯეტში — 94 პროცენტის ოდენობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, რესპუბლიკური დაქვემდებარების დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში — 100 პროცენტის ოდენობით;

გ) ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი — 100 პროცენტი;

დ) 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებრიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციის თანხიდან — 10 პროცენტი.

**მუხლი 15.** დაწესდეს, რომ საწარმოები (გაერთიანებები), დაწესებულებები, ორგანიზაციები, საკუთრების მიუზღდავად, ყველა ანგარიშსწორებას (გარდა ხელფასისა და საბიუჯეტო გადარიცხვებისა) ახორციელებენ საანგარიშსწორებო დოკუმენტის შემოსავლის (გადახდის ვადის დადგომის) კალენდარული რიგითობით.

**მუხლი 16.** დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განხილოს წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც მოცემულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნებში საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიონზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;

**მუხლი 17.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

რესპუბლიკის ფინანსების უკიდურესი დაძაბვის პირობებში მიზნად ისახავს ეკონომიკის გაჯანსაღებასა და სტაბილიზაციას, გადაუდებელი სოციალური საკითხების გადაწყვეტას, მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოებისაგან, ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციისაგან მოითხოვს ეკონომიკისა და მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის პრაქტიკულად განხორციელებას, წარმოების ეფექტიანობის მაქსიმალურ გაუმჯობესებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

№ 79—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
და დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

**380** საქართველოს რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 4532832 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 4398758 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 134074 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

№ 80—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის  
კ ა ნ ო ნ ი

**381** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუსლი 1. კანონმდებლობა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოში არჩეული დეპუტატის სტატუსს განსაზღვრავს

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

**მუხლი 2.** უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა

უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება უზენაესი საბჭოს მიერ მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის დღეს ან ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**მუხლი 3.** უზენაესი საბჭოს წევრის სადებუტატო მოწმობა და სამკერდე ნიშანი

უზენაესი საბჭოს წევრი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში სარგებლობს სადებუტატო მოწმობითა და სამკერდე ნიშნით. მოწმობისა და სამკერდე ნიშნის დებულებებს, მათ ნიშნებსა და აღწერილობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

**მუხლი 4.** უზენაესი საბჭოს წევრის მოვალეობათა შეთავსება სხვა საქმიანობასთან

უზენაესი საბჭოს წევრი, როგორც წესი, წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, გამოჩალისი დაიშვება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით. გამოჩალისი არ დაიშვება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილის, უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და უზენაესი საბჭოს სხვა მუდმივი ორგანოების ხელმძღვანელებისათვის.

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, უფლება ეძლევა სადებუტატო საქმიანობას შეუთავსოს სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობა 0,25 ან 0,5 საშტატო განაკვეთზე.

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც ეწევა შემოქმედებით საქმიანობას, უხელფასო გაცდენის დროს ეძლევა ხელფასი უზენაესი საბჭოს იმ წევრის თანაბრად, რომელიც წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას.

**მუხლი 5.** უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილებას ვადამდე წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შემდეგ შემთხვევებში:

უზენაესი საბჭოს წევრის მიერ დებუტატის უფლებამოსილების მოხსნისას;

უზენაესი საბჭოს წევრის მიმართ გამამტყუნებელი სისამართლო განაჩენის ძალაში შესვლისას;

უზენაესი საბჭოს წევრისათვის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის ჩამორთმევისას;

იმ შემთხვევაში, როდესაც უზენაესი საბჭოს წევრს ისეთი თანამდებობა უკავია, რომელიც კანონით შეუთავსებელია უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსთან.



## მუხლი 6. უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების დროებით შეჩერება

უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების დროებით შეჩერების უფლება აქვს:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, ხოლო სესიებს შუა პერიოდში და სესიის ძიმდინარეობისას უზენაესი საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში — უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, თუ ამ კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მიერ შემოტანილია წარდგინება;

2) უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უზენაესი საბჭოს წევრის თხოვნით, თუ იგი იმყოფება ხანგრძლივ მივლინებაში, საჭიროებს ხანგრძლივ მკურნალობას ან სხვა შემთხვევაში, როდესაც უზენაესი საბჭოს წევრს დროებით არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების განხორციელება;

3) უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის კომისიის წარდგინებით იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი საბჭოს წევრი არასაპატიო მიზეზით სისტემატურად არ ესწრება უზენაესი საბჭოს სხდომებს, ანდა პრაქტიკულად არ მონაწილეობს უზენაესი საბჭოს ან მისი ორგანოების მუშაობაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის კანონების, უზენაესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების მიღებისას უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობაში არ შედიან უზენაესი საბჭოს ის წევრები, რომელთა უფლებამოსილება შეწყვეტილია ან დროებით შეჩერებულია.

## II. უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობა უზენაეს საბჭოსა და მის ორგანოებში

### მუხლი 7. უზენაესი საბჭოს წევრის მონაწილეობა უზენაესი საბჭოს სესიებში

უზენაესი საბჭოს წევრები თავისუფალი განსჯის საფუძველზე სესიებზე იხილავენ და წყვეტენ ყველა იმ საკითხს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის განმგებლობას განეკუთვნება.

უზენაესი საბჭოს წევრი მოვალეა ესწრებოდეს სესიებს. თუ მას არა აქვს სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა, ამის შესახებ უნდა აცნობოს უზენაესი საბჭოს სამდივნოს.

### მუხლი 8. უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე

უზენაესი საბჭოს წევრს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება ყველა იმ საკითხში, რომლებიც იხილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე.

უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს:

- ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს უზენაესი საბჭოს ორგანოებში;
- ბ) გამოთქვას აზრი უზენაესი საბჭოს შესაქმნელი ორგანოების პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს უზენაესი საბჭო;
- გ) შეიტანოს შენიშვნები და წინადადებანი უზენაესი საბჭოს სესიის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვის წესისა და არსის გამო;
- დ) შეიტანოს წინადადებანი უზენაესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ყოველი ორგანოს ან თანამდებობის პირის ანგარიშისა თუ ინფორმაციის მოსმენის შესახებ;
- ე) დასვას საკითხი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თუ მისი ცალკეული წევრისადმი ნდობის შესახებ.
- ვ) მონაწილეობდეს კამათში, შეკითხვის წესით დააყენოს საკითხები, შეეკითხოს მომხსენებლებს, აგრეთვე სხდომის თავმჯდომარეს, მოითხოვოს პასუხები და მისცეს მათ შეფასება;
- ზ) წამოაყენოს წინადადებები კანონების, დადგენილებების, სხვა საკანონმდებლო აქტების პროექტებში შესწორებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;
- თ) გაეცხოს თავისი გამოსვლების ტექსტებს უზენაესი საბჭოსა და მისი ორგანოების სხდომათა სტენოგრაფებსა და ოქმებში გამოქვეყნებამდე, აგრეთვე მიიღოს გამოსვლების ტექსტები, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას;
- ი) გადასცეს სხდომის თავმჯდომარეს თავისი გამოსვლის ტექსტი, აგრეთვე წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები უზენაესი საბჭოს სესიაზე განსახილველი საკითხის გამო;
- კ) სხდომაზე დასწრების შემთხვევაში არ მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში (მაგრამ აუცილებლად უნდა გატარდეს რეგისტრაციაში).

**მუხლი 9.** უზენაესი საბჭოს წევრის საკანონმდებლო ინიციატივის უფლება უზენაესი საბჭოს წევრს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში, ანუ უფლება შეიტანოს სათანადო წესით ჩამოყალიბებული კანონპროექტი ან წინადადება კონკრეტული კანონის მიღებასთან თუ მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებით, რაც განხილულ უნდა იქნეს უზენაეს საბჭოში.

**მუხლი 10.** უზენაესი საბჭოს წევრის მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენება

უზენაესი საბჭოს წევრს ან წევრთა ჯგუფს უფლება აქვს შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს რესპუბლიკის კანონების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებებისა და სხვა აქტების დარღვევის გამო, აგრეთვე საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის სხვა საკითხები. უზენაესი საბჭოს წევრს შეუძლია შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების წინაშე.

დეპუტატი შეკითხვის წესით საკითხს აყენებს წერილობითი ფორმით უზენაესი საბჭოს წევრი ან მისი თხოვნით უზენაესი საბჭოს სხდომის თავმჯდომარე აცნობს სესიას შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხს.

სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი, რომლის წინაშეც შეკითხვის წესით დააყენეს საკითხი, ვალდებულია გასცეს ოფიციალური პასუხი სესიის სხდომაზე არა უგვიანეს სამი დღის ვადისა ან უზენაესი საბჭოს მიერ დაწესებულ სხვა ვადაში. უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს შეაფასოს შეკითხვის წესით დასმულ საკითხზე თანამდებობის პირის პასუხი. შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის გამო, განხილვის შედეგების მიხედვით. მიიღება დადგენილება.

**მუხლი 11.** უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატის მიერ შეტანილი წინადადებებისა და შენიშვნების განხილვა

უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატის მიერ წერილობითი ფორმით თავმჯდომარისათვის გადაცემულ წინადადებებსა და შენიშვნებს განხილავენ უზენაესი საბჭო, მისი მუდმივი კომისია (ან კომისიები), ანდა უგზავნიან შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს განსახილველად.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, აგრეთვე თანამდებობის პირნი, რომლებსაც გაეგზავნათ უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატის მიერ შეტანილი წინადადებები და შენიშვნები, მოვალე არიან განხილონ ისინი არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში და შედეგები აცნობონ უშუალოდ უზენაესი საბჭოს წევრს, აგრეთვე უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს.

უზენაესი საბჭოს წევრის წინადადებებისა და შენიშვნების განხილვისა და რეალიზაციის კონტროლს ახორციელებს შესაბამისი მუდმივი კომისია.

**მუხლი 12.** უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობა უზენაესი საბჭოს ორგანოებში

უზენაესი საბჭოს ორგანოებში არჩეული წევრი მოვალეა მონაწილეობდეს მათ მუშაობაში.

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც არ შედის უზენაესი საბჭოს ორგანოების შემადგენლობაში, უფლება აქვს მონაწილეობდეს მათ სხდომებში, შეიტახოს წინადადებანი, მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილებათა ქმედებაში სათათბირო ხმის უფლებით.

**III. უზენაესი საბჭოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან**

**მუხლი 13.** უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება საარჩევნო ოლქში ან უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად მის დამსახურებელ პოლიტიკურ ორგანიზაციაში მუშაობასთან დაკავშირებით

საარჩევნო ოლქში ან შესაბამის პოლიტიკურ ორგანიზაციაში თავისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, აგრეთვე შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოებში ამომრჩეველთა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა წევრების ინტერესებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვაში;

ბ) კონტროლი გაუწიოს მის მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გაგზავნილი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირნი მოვალე არიან დახმარება გაუწიონ უზენაესი საბჭოს წევრს მის საკონტროლო საქმიანობაში;

გ) მოაწიოს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა კრებები, შეხვედრები შრომით კოლექტივებთან და პოლიტიკურ ორგანიზაციათა ადგილობრივ ორგანოებთან.

**მუხლი 14.** უზენაესი საბჭოს წევრის მიერ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა

უზენაესი საბჭოს წევრი კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს მასთან შესულ წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს, ახორციელებს ღონისძიებებს მათი სწორი და დროული გადაწყვეტისათვის, იღებს მოქალაქეებს, სწავლობს საზოგადოებრივ აზრს, შეაქვს წინადადებათი ხელისუფლების შესაბამის ცენტრალურ თუ ადგილობრივ ორგანოებში, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში.

**მუხლი 15.** უზენაესი საბჭოს წევრის ანგარიში ამომრჩეველთა ან უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად მისი დამსახურებული პოლიტიკური ორგანიზაციის წინაშე

უზენაესი საბჭოს წევრი შოვალეა წელიწადში ერთხელ მაინც ჩააბაროს ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ ოლქის ამომრჩეველებს ან დეპუტატობის კანდიდატად მის დამსახურებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას.

**მუხლი 16.** უზენაესი საბჭოს წევრისათვის ხელშეწყობა ამომრჩეველებთან ან უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად მისი დამსახურებული პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრების მოწყობაში

უზენაესი საბჭოს წევრს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს საჭირო პირობები ანგარიშგების და ოლქის ამომრჩეველებთან ან უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად მისი დამსახურებული პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრების მოწყობისათვის. მისი თხოვნით ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანო, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია გამოყოს შენობა. აცნობოს მოქალაქეებს. როდის და სად ეწყობა დეპუტატის ანგარიშგება, მისი შეხვედრები ამომრჩეველებთან.

#### IV. უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის გარანტიები

**მუხლი 17.** საკანონმდებლო ინიციატივის უფლების განხორციელების გარანტიები

უზენაესი საბჭოს წევრის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას უზრუნველყოფს:

ა) უზენაესი საბჭოს სესიაზე საკანონმდებლო ინიციატივის წესით შეტანილი წინადადების სავალდებულო განხილვა;

ბ) უზენაესი საბჭოს წევრის მიერ შეტანილი წინადადებების, აგრეთვე კანონის ყველა შესწორების გამო სავალდებულო კენჭისყრა.

**მუხლი 18.** უზენაესი საბჭოს წევრის უფლება დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული თანამდებობის პირთა მიერ

სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით უზენაესი საბჭოს წევრი სარგებლობს უფლებით დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული თანამდებობის პირთა მიერ, აგრეთვე უფლებით შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოში, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

**მუხლი 19.** უზენაესი საბჭოს წევრის მიერ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი უზრუნველყოფს უზენაესი საბჭოს წევრს უზენაესი საბჭოს დოკუმენტებით, აგრეთვე მთავრობის, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მიერ ოფიციალურად გავრცელებული საინფორმაციო და საცნობარო მასალებით.

ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე თანამდებობის პირნი მოვალე არიან უზენაესი საბჭოს წევრი უზრუნველყონ სპეციალისტთა კონსულტაციებით დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დაუყოვნებლივ მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია, საშუალება მისცენ ისარგებლოს ასლგადასადგმა-გასამრავლებელი და გამოთვლითი ტექნიკით.

**მუხლი 20.** უზენაესი საბჭოს წევრისათვის იურიდიული დახმარების გაწევა

ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, საწარმოთა, ორგანიზაციათა, სამეცნიერო, იურიდიულ დაწესებულებათა, სასწავლებლების ადმინისტრაციები, სამართალდამცველი ორგანოები დახმარებას უწევენ უზენაესი საბჭოს წევრს სადეპუტატო საქმიანობისას წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში.

**მუხლი 21.** თანამდებობის პირთა მოვალეობა იხილავენენ უზენაესი საბჭოს წევრთა მიმართებებს

უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს მიმართოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას, თანამდებობის პირს დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე მონაწილეობდეს აღძრულ საკითხთა განხილვაში. აღნიშნული ორგანოები და თანამდებობის პირნი მოვალე არიან უზენაესი საბჭოს წევრს დაუ-

ყოველივე გასცენ პასუხი მის მიმართვაზე, ხოლო შესაბამისი საკითხის დასაბუთებითი შეწყველის ან შემოწმების საჭიროების შემთხვევაში — არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა.

**მუხლი 22.** უზენაესი საბჭოს წევრის უფლება მოითხოვოს კანონიერების დარღვევის აღმოფხვრა

უზენაესი საბჭოს წევრს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს, უფლება აქვს ადგილზე მოითხოვოს კანონიერების დარღვევის შეწყვეტა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს მოსთხოვოს აღკვეთონ კანონის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევები.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირნი, რომლებსაც ეხებათ უზენაესი საბჭოს წევრის მოთხოვნა, მოვალე არიან დაუყოვნებლივ განახორციელონ დარღვევების აღმოფხვრის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ბრალეულთა პასუხისგებაში მიცემის ღონისძიებანი, ამასთან შემდგომში აცნობონ ეს უზენაესი საბჭოს წევრს.

**მუხლი 23.** სადებუტატო საქმიანობის მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფა

უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, აუნაზღაურდება ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ხელფასის ოდენობასა და გაცემის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**V. უზენაესი საბჭოს წევრის შრომითი უფლებების დაცვა.**  
**უზენაესი საბჭოს წევრის ხელშეუხებლობა**

**მუხლი 24.** უზენაესი საბჭოს წევრის შრომითი უფლებების გარანტიები  
უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, უნარჩუნდება სამუშაო ადგილი უზენაესი საბჭოს წევრის მოვალეობის შესრულების მთელ პერიოდში.

უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების დამთავრების შემდეგ მას ეძლევა წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ასეთი არ არის, სხვა ძისი ტოლფასი სამუშაო (თანამდებობა) ამავე ან, მუშაკის თანხმობით, სხვა საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში.

უზენაესი საბჭოს წევრი არ შეიძლება დაითხოვონ სამუშაოდან აღმინისტრაციის ინიციატივით, გარიცხონ კოლმეურნეობიდან ან სხვა კოოპერაციული ორგანიზაციიდან, სასწავლებლიდან, ანდა გადაიყვანონ დისციპლინური დასჯის წესით ნაკლებხელფასიან სამუშაოზე (დააქვეითონ თანამდებობით) უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე, ხოლო სესიებს შუა და სხდომებს შუა პერიოდში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე.

უზენაეს საბჭოსა და მის ორგანოებში დემუტატის მუშაობის დრო ჩაითვლება სპეციალობით მუშაობის საერთო უწყვეტ სტაჟად.

უზენაესი საბჭოს წევრად არჩევა არ იწვევს შემოქმედებით კავშირებსა და თავისუფალ პროფესიულ გაერთიანებებში წევრობის შეწყვეტას.

**მუხლი 25.** უზენაესი საბჭოს წევრის ხელშეუხებლობა

უზენაესი საბჭოს წევრი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში, დაპატიმრებულ იქნეს ან დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე, ხოლო სესიებს შუა და სხდომებს შუა პერიოდში — უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე გარდა იმ შემთხვევისა, როცა უზენაესი საბჭოს წევრი დაკავებულ იქნა დახაშაულის ჩადენის ადგილზე, ასეთ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი დაუყოვნებლივ აცნობებს ამ ფაქტის შესახებ უზენაეს საბჭოს.

უზენაესი საბჭოს წევრის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს.

უზენაესი საბჭოს წევრი ვალდებული არ არის მოწმის სახით დაკითხვის დროს გაახმაუროს ცნობები, რომლებიც მან სადემუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით მიიღო, აგრეთვე მიუთითოს ამ ცნობების მიღების წყაროები.

დაუშვებელია როგორც უზენაესი საბჭოს წევრის იძულებით მიყვანა, ასევე მისი პირადი ნივთების, ბარგის, ტრანსპორტის, საცხოვრებელი ან სამუშაო სადგომების შემოწმება.

უზენაესი საბჭოს წევრი საზღვარგარეთ მგზავრობისას სარგებლობს დიპლომატიური პასპორტით.

**მუხლი 26.** უზენაესი საბჭოს წევრის პასუხისმგებაში მიცემავზე თანხმობის მიღების წესი

უზენაესი საბჭოს წევრის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის, დაპატიმრების ან სასამართლო წესით დადებული ადმინისტრაციული სასჯელის დონისძიებათა გამოყენებისათვის უზენაესი საბჭოს, ხოლო სესიებსა და სხდომებს შუა პერიოდში უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის მისაღებად საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს უზენაესი საბჭოს წევრისათვის ბრალდების წაყენების, მისი დაპატიმრების სანქციის გაცემის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის სასამართლოში გაგზავნის წინ უზენაეს საბჭოში შეაქვს წარდგინება.

უზენაესი საბჭო წარდგინებას განიხილავს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა საჭიროების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორისაგან შეიძლება გამოთხოვილ იქნეს დამატებითი მასალები, საკითხის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვს უზენაესი საბჭოს წევრს, რომლის გამო შეტანილია წარდგინება. უზენაესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და სამი დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი საქმის წარმომადგენელს და მათვერიდან სამი დღის ვადაში ვალდებულია აცნობოს უზენაეს საბჭოს საქმის გამოძიების ან განხილვის შედეგები.

**მუხლი 27.** უზენაესი საბჭოს წევრის თანაშემწის შესახებ უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს საზოგადოებრივ საწყისებზე აიყვანოს თანაშემწე.

მაჟორიტარული წესით არჩეულ უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს აიყვანოს რწმუნებული, რომლის შრომა ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტით.

**მუხლი 28.** თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის

სახელმწიფო უზრუნველყოფს პირობებს უზენაესი საბჭოს წევრის მიერ უფლებამოსილების დაუბრკოლებელი და ეფექტიანი განხორციელებისათვის, იცავს მის უფლებებს, სახელსა და ღირსებას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირებს, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს უზენაესი საბჭოს წევრის წინაშე, ხელს უშლიან მუშაობაში, აწვდიან მკდარ ინფორმაციას, არღვევენ სადებუტატო საქმიანობის გარანტიებს, ეცისრებათ პასუხისმგებლობა კანონის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. ბამსახშარდია.**

თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

№ 81—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის  
კ ა ნ ო ნ ი

## 382 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულება (თან ერთვის).
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ 1980 წლის 28 მარტის კანონი (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1980 წ., № 3, მუხ. 85).
3. ეს კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. ბამსახშარდია.**

თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

№ 82—I ს.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების

## დროებითი დებულება

### I მუდმივი კომისიების ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მათი შექმნის წესი

**მუხლი 1.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წევრთაგან ირჩევს მუდმივ კომისიებს, რათა მათ აწარმოონ საკანონბროქტო მუშაობა, წინასწარ განიხილონ და მოამზადონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები. აგრეთვე ხელი შეუწყონ საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებების განხორციელებას. კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

**მუხლი 2.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიებს ძირითადი ამოცანებია:

შეიმუშაონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განსახილველი წინადადებები;

მოამზადონ დასკვნები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განსახილველ საკითხებზე;

ხელი შეუწყონ სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებს საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მუშაობაში;

კონტროლი გაუწიონ საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა რესპუბლიკური ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად;

კონტროლი გაუწიონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით;

ხელი შეუწყონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, აგრეთვე თანამდებობის პირებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიებზე დებუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების განხილვარეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში.

დაკისრებული ამოცანების შესრულებისას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები მოწოდებული არიან მთელი თავიანთი მუშაობით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიების დროს და სესიებს შუა პერიოდში ხელი შეუწყონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს. მუდმივ და ეფექტიან საქმიანობას.

**მუხლი 3.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, საქართველოს რესპუბლიკის კანონებითა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით.

**მუხლი 4.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ქმნის სამანდატო და სადეპუტატო ფიციის მუდმივ კომისიას, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივ კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივ კომისიას, ეკონომიკური რეფორმის მუდმივ კომისიას, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივ კომისიას, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივ კომისიას, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივ კომისიას, საგარეო ურთიერთობათა მუდმივ კომისიას, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივ კომისიას, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივ კომისიას.

**მუხლი 5.** მუდმივ კომისიებს ქმნის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის ამ მოწვევის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადით კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების შემადგენლობით. კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. თითოეული მუდმივი კომისია თავისი წევრებისაგან ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში შეუძლია შექმნას ახალი მუდმივი კომისიები და შეიტანოს ცვლილებები კომისიათა შემადგენლობაში.

მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, ის დეპუტატი, რომელიც დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. სხვა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე ან მდივანი. ერთი და იგივე დეპუტატი არ შეიძლება იყოს ორზე მეტი მუდმივი კომისიის წევრი.

**მუხლი 6.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე.

მუდმივი კომისიების საქმიანობას კოორდინაციას უწევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუდმივი კომისია ქმნის ქვეკომისიებს, რომელთა შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები, აგრეთვე ის პირებიც, რომლებიც არ არიან დეპუტატები. მუდმივი კომისიას შეუძლია გარკვეული ვადის შრომითი ხელშეკრულება გაუფორმოს ქვეკომისიის იმ წევრს, რომელიც არ არის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი.

## II. მუდმივი კომისიების გამგებლობის საკითხები

**მუხლი 7.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების გამგებლობის საკითხებს, უფლებებსა და მოვალეობებს, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რეგლამენტი, ეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის კანონები და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტები.

საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, იღებენ მას შემდეგ, რაც პროექტს წინასწარ განიხილავენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟისა და პროკურატურის კოლეგიების შემადგენლობაში თანაღებობის პირთა არჩევასა და დამტკიცებისას, აგრეთვე შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სარდლის დანიშვნისას აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიის წინასწარი დასკვნა.

**მუხლი 8.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის კომისიას ევალება:

1) შეამოწმოს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 107-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილება და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განსახილველად წარუდგინოს წინადადებანი დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, ხოლო საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების კანონის დარღვევის შემთხვევაში — ცალკეულ დეპუტატთა არჩევნების ბათილად ცნობის თაობაზე;

2) მოამზადოს და საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინოს წინადადებები უზენაესი საბჭოს გამოკლებულ წევრთა ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნების ჩატარების შესახებ;

3) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დავალებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით შეიმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების პროექტები და წინადადებები დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; მოამზადოს

და წარადგინოს დასკვნები კომისიისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემული ამგვარი საკითხების თაობაზე;

4) მოამზადოს დასკვნები დეპუტატის ხელშეუხებლობასა და დეპუტატის საქმიანობის სხვა გარანტიებთან, აგრეთვე სადეპუტატო ეთიკის, დეპუტატის უფლებამოსილების შეჩერების, შეწყვეტის ან დეპუტატის გაწვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

**მუხლი 9.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის ევალუბა:

1) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დავალებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით შეიმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების პროექტები, მოამზადოს კანონმდებლობის სრულყოფასთან, მართლმსაჯულების განხორციელებასთან, კანონიერების განმტკიცებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;

2) განიხილოს კომისიისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემული საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების პროექტები და მოამზადოს შესაბამისი დასკვნები;

3) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების იმ პროექტების შექმნაში, რომლებსაც ამზადებენ შესაბამისი კომისიები;

4) მოამზადოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის საკითხების შესახებ;

5) მოისმინოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების, თანამდებობის პირების ინფორმაციები და მოხსენებები კანონიერების განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის, კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე.

**მუხლი 10.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის ევალუბა:

1) მოამზადოს და წინასწარ განიხილოს ის საკითხები, რომლებსაც წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, და რომლებიც ეხება რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული და სხვა კავშირურთიერთობის განვითარებას უცხო სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე წარუდგინოს ამ საკითხებზე წინადადებები და დასკვნები რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს;

2) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დავალებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით შეიმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების პროექტები საგარეო პოლიტიკურ და საგარეოეკონომიკურ საკითხებზე;

3) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით წინასწარ განიხილოს უზენაესი საბჭოსათვის სარატიფიკაციოდ ან სადე-

ნონსაციოდ წარდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულებები, მოამზადოს მათი დასაყენებელი დასკვნები;

4) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინოს სათანადო დასკვნები საზღვარგარეთის ქვეყნებში ან საერთაშორისო ორგანიზაციებში დასახილველი საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლების კანდიდატურების შესახებ;

5) მოისმინოს ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების და ორგანიზაციების სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული და სხვა კავშირების შესახებ;

6) კონტროლი გაუწიოს იმ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას, რომლებიც აწარმოებენ საგარეოეკონომიკური ურთიერთობების რეგისტრაციას;

7) მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს იმ სახელმწიფო ორგანიზაციებში და დაწესებულებებში დასახილველი ხელმძღვანელი მუშაკების კანდიდატურების შესახებ, რომლებიც ახორციელებენ საგარეოეკონომიკურ საქმიანობას.

**მუხლი 11.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დარგობრივ კომისიებს ევალებათ თავიანთი დარგების მიხედვით მოამზადონ საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების პროექტები, განახორციელონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების ამ დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილება.

**მუხლი 12.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რამდენიმე მუდმივი კომისიის გამგებლობის საკითხები კომისიის ინიციატივით, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის დავალებით კომისიებმა შეიძლება ერთობლივად მოამზადონ და განიხილონ.

მუდმივ კომისიას შეუძლია მიიღოს სხვა მუდმივ კომისიათა დასკვნები მის მიერ განსახილველი საკითხების შესახებ.

**მუხლი 13.** თუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიას მიაჩნია, რომ მისთვის განსახილველად გადაცემული საკითხი სხვა კომისიის გამგებლობასაც განეკუთვნება, ან თუ საჭიროდ თვლის გამოთქვას თავისი აზრი სხვა მუდმივი კომისიის მიერ განსახილველ საკითხზე, მას უფლება აქვს შეიტანოს წინადადება ამის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მის პრეზიდიუმში.

### III. მუდმივი კომისიების უფლება-მოვალეობანი

**მუხლი 14.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები თავიანთი გამგებლობის საკითხების განხილვისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და თანაბარი მოვალეობები აკისრიათ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

**მუხლი 15.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს შეუძლიათ გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომებზე მოხსენებებით და თანამოხსენებებით თავიანთი გამგებლობის საკითხებზე.

მუდმივი კომისიები საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში მათ შიერ შეტანილ საკითხებზე, ანდა კომისიებისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემულ საკითხებზე გამოყოფენ თავიანთ მომხსენებლებს ან თანამომხსენებლებს.

მუდმივი კომისიების შიერ ერთობლივად მომზადებულ საკითხებზე კომისიებს შეუძლიათ გამოვიდნენ ერთობლივი მოხსენებებითა და თანამომხსენებებით ან ცალ-ცალკე წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები და წინადადებანი.

**მუხლი 16.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ შეიტანონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის კანონების პროექტების ან რესპუბლიკის სახელმწიფო ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე კანონპროექტების სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნების თაობაზე.

სახალხო განხილვის მსვლელობაში კანონპროექტებისა და სხვა საკითხების თაობაზე მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ შემოტანილ წინადადებებს განხილვავენ და განაზოგადებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი წესით და შიახსენებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის ან სხვა საკითხის განხილვისას.

**მუხლი 17.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს თავიანთი გამგებლობის საკითხებზე შეუძლიათ მოუსმინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებს, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

აღნიშნული ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები და ხელმძღვანელები ვალდებული არიან მუდმივი კომისიის წინადადებით გამოცხადდნენ კომისიის სხდომაზე და წარადგინონ განმარტებანი კომისიის მიერ განსახილველ საკითხებზე. ამასთან, მუდმივი კომისიები დროულად აუწყებენ შესაბამის ორგანოებსა და ორგანიზაციებს საკითხების განხილვის თაობაზე.

**მუხლი 18.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ თავიანთი გამგებლობის საკითხებზე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს მოსთხოვონ წარუდგინონ მათ დოკუმენტები, წერილობითი დასკვნები, საანგარიშო მონაცემები და სხვა მასალები.

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს მუდმივი კომისიების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები.

**მუხლი 19.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციები ეგზავნებათ შესაბამის ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს და მათ შესახებ ეცნობება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.

მუდმივი კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილოს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა განხილვის შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოთ კომისიებს არა უგვიანეს ორი თვის ვადისა ან კომისიების მიერ დადგენილ სხვა ვადაში.

**მუხლი 20.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ წინადადებანი შეიტანონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში.

მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ შეკითხვის წესით მიმართონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, მინისტრებსა და იმ ორგანოთა ხელმძღვანელებს, რომლებსაც ქმნის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობის საკითხებზე.

**მუხლი 21.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ თავიანთ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიიზიდონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში. აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების, საბეჭდო დაწესებულებების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მეცნიერები.

**მუხლი 22.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრები ძოვალენი არიან მონაწილეობა მიიღონ კომისიების საქმიანობაში, ხელი შეუწყონ მათი გადაწყვეტილებების განხორციელებას, შეასრულონ კომისიათა დავალებები.

მუდმივი კომისიის წევრი სარგებლობს გამაწყვეტი ხმის უფლებით ყველა საკითხში, რომლებსაც კომისია იხილავს. მას უფლება აქვს დააყენოს საკი-

თხები მუდმივი კომისიის განსახილველად და მონაწილეობა მიიღოს მზადებასა და განხილვაში; შეიტანოს წინადადებები სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების საჭიროების შესახებ, კომისიის სხდომაზე შათი სხვაობების ან ინფორმაციების მოსმენის თაობაზე.

მუდმივი კომისიის წევრს, რომლის წინადადებებსაც კომისიამ მხარი არ დაუჭირა, შეუძლია წერილობით ან ზეპირად შეიტანოს ისინი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განსახილველად.

მუდმივი კომისიის წევრს უზრუნველყოფილი აქვს პირობები კომისიის მიერ განსახილველი ყველა საკითხის გადაჭრაში აქტიური მონაწილეობისათვის; მას ამისათვის ეგზავნება საჭირო დოკუმენტები და სხვა მასალები.

**მუხლი 23.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრები კომისიის დავალებით და თავისი ინიციატივით ადგილებზე სწავლობენ კომისიის გამგებლობის საკითხებს, განაზოგადებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა წინადადებებს, თავიანთ დასკვნებსა და წინადადებებს აცნობენ კომისიას.

#### IV. მუდმივი კომისიების მუშაობის წესი

**მუხლი 24.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები მუშაობენ თავიანთ სხდომებზე დამტკიცებული გეგმების შესაბამისად.

**მუხლი 25.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომებს იწვევენ საჭიროების მიხედვით და ეს სხდომები შეიძლება გაიმართოს როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიების დროს, ისე სესიებს შუა პერიოდში.

**მუხლი 26.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

კომისიის წევრი, თუ მას სხდომაზე ჩამოსვლა არ შეუძლია, ამის შესახებ აცხობინებს მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს.

**მუხლი 27.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიებში ყველა საკითხი წყდება კომისიის წევრთა საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით.

რამდენიმე მუდმივი კომისიის ერთობლივი სხდომის ჩატარებისას გადაწყვეტილებებს იღებენ თითოეული კომისიის წევრთა საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით.

**მუხლი 28.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებს, რომლებიც არ შედიან ამ კომისიის შემადგენლობაში.

**მუხლი 29.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომებზე შეიძლება მოიწვიონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორ-



განობისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მეცნიერები, რომლებიც სხდომებში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

საჭიროების შემთხვევაში მუდმივ კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დასურული სხდომის ჩატარების შესახებ.

**მუხლი 30.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს მათ მიერ განსახილველი საკითხების მოსამზადებლად შეუძლიათ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთაგან, შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან, სპეციალისტებისა და მეცნიერებისაგან შექმნან მოსამზადებელი კომისიები და სამუშაო ჯგუფები.

მუდმივ კომისიებს შეუძლიათ შექმნან ერთობლივი მოსამზადებელი კომისიები და სამუშაო ჯგუფები.

**მუხლი 31.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, რომელიც ხელმძღვანელობს მის მუშაობას:

— იწვევს კომისიის სხდომებს და ორგანიზაციას უწევს სხდომებისათვის საჭირო მასალების მომზადებას;

— დავალებას აძლევს კომისიის წევრებს, უგზავნის მათ კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ მასალებსა და დოკუმენტებს;

— გამოიძახებს კომისიის წევრებს მოსამზადებელ კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებში მუშაობისათვის, აგრეთვე კომისიის სხვა დავალებათა შესასრულებლად;

— კომისიის სხდომებში მონაწილეობისათვის იწვევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს;

— თავმჯდომარეობს კომისიის სხდომებს;

— წარმომადგენლობს კომისიას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

— ორგანიზაციას უწევს მუშაობას კომისიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

— ინფორმაციას აწვდის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს კომისიაში განხილული საკითხების, აგრეთვე კომისიის რეკომენდაციათა სარეალიზაციოდ მიღებული ზომების შესახებ;

— ინფორმაციას აწვდის კომისიის წევრებს კომისიის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და მის რეკომენდაციათა განხილვის შესახებ.

კომისიების ერთობლივ სხდომებს რიგრიგობით ატარებენ ამ კომისიათა თავმჯდომარეები.

**მუხლი 32.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის გადაწყვეტილებებსა და დასკვნებს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე. მუდმივი კომისიების მიერ ერთობლივად მიღებულ დადგენილებებსა და ერთ-

ბლივად მომზადებულ დასკვნებს ხელს აწერენ შესაბამისი კომისიების წევრ-  
 ჯდომარეები.

მუდმივი კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის მდივანი. მუდმივი  
 კომისიების გაერთიანებულ სხდომათა ოქმებს ხელს აწერენ შესაბამისი კომი-  
 სიების მდივნები.

**მუხლი 33.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომი-  
 სიები საზოგადოებრიობას ინფორმაციას აწვდიან თავიანთი საქმიანობის შე-  
 სახებზე.

მუდმივი კომისიების, ქვეკომისიების, მოსამზადებელი კომისიებისა და  
 სამუშაო ჯგუფების სხდომებზე შეიძლება მოიწვიონ პრესის, ტელევიზიისა და  
 რადიოს წარმომადგენლები.

ცნობები მუდმივ კომისიათა მუშაობის შესახებ ქვეყნდება „საქართველოს  
 რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებებსა“ და რესპუბლიკურ გაზეთებში.

**მუხლი 34.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომი-  
 სიების საქმიანობის მომსახურებას უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლი-  
 კის უზენაესი საბჭოს სამდივნო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
 ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**383** საქართველოს რესპუბლიკის ბენერალური პროკურორის დანი-  
 შვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ვახტანგ აპოლონის ძე რაჟმაძე საქართველოს რესპუბლიკის  
 გენერალურ პროკურორად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურობა.

თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

№ 83—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
დადგენილება**384** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს შინდია გურამის ძე უგრეხელიძე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. პამსახურდია,

თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

№ 84—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
დადგენილება**385** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს ვაჟა ბორისის ძე აბაკელია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. პამსახურდია,

თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

№ 85—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
დადგენილება**386** „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის სახალხო განხილვის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი გამოქვეყნდეს სახალხო განხილვისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. პამსახურდია,

თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

№ 86—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
დადგენილება

**387** „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა უზენაესი საბჭოს საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის სახალხო განხილვის თაობაზე“

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი გამოქვეყნდეს სახალხო განხილვისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 27 დეკემბერი.

№ 87—I ს.

V

საქართველოს რესპუბლიკის  
კ ა ნ ო ნ ი

Ⓢ

**388** საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა შეთანხმების შესახებ

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები:

1. 163-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებია: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო და რაიონის (ქალაქის) სასამართლოები“.

2. 164-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 164. საქართველოს რესპუბლიკაში ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა დახიშვნის ან არჩევის და მსაჯულთა არჩევითობის საწყისეზზე.“

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებსა და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებს ინიშნავენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები, ადმინისტრაციულ მოსამართლეებს — შესაბამისად რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავენ ან ირჩევენ ათი წლის ვადით. ადმინისტრაციულ მოსამართლეებს ნიშნავენ ხუთი წლის ვადით. ყველა სასამართლოს მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათს საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას კენჭისყრით, საქალაქო სასამართლოს მსაჯულებს — ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

უზენაესი სასამართლოების მოსამართლეები და ყველა სასამართლოს მსაჯულები პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან მათი ამრჩევი ორგანოების ან ამომრჩევლების წინაშე და შეიძლება მათ მიერვე იქნენ გაწვეული კანონით დადგენილი წესით“.

3. 167-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მოსამართლეთა და მსაჯულთა ხელშეუხებლობას, აგრეთვე მათი დამოუკიდებლობას სხვა გარანტიებს აწესებს კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლეთა ტრატუსის შესახებ“ და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები“.

4. 171-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამართალწარმოება საქართველოს რესპუბლიკაში ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე. საქმის მონაწილე პირთათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება, სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება“.

5. 173-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“.

6. 166-ე, 167-ე მუხლებში სიტყვები „სახალხო მსაჯულთა“, „სახალხო მსაჯულები“, „სახალხო მსაჯულებისათვის“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით: „მსაჯულთა“, „მსაჯულები“, „მსაჯულებისათვის“.

7. 110-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი“.

8. 104-ე მუხლას მე-19 პუნქტს სიტყვების „გენერალურ პროკურორს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სარდალს“.

9. 115-ე მუხლის მე-3 პუნქტს სიტყვების „გენერალური პროკურორის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სარდალის“.

10. 177-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „რაიონების, ქალაქების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ტრანსპორტის“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურობა.

თბილისი, 1990 წლის 28 დეკემბერი.

№ 88—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

**389** საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ

ბარი პირველი

ძირითადი დებულებანი

**მუხლი 1.** მოსამართლე და მსაჯული

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები შეიძლება იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც დანიშნული არიან საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები შეიძლება იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც არჩეული არიან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოებსა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში.

მსაჯულები შეიძლება იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც დადგენილი წესით არჩეული არიან საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოებში, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში.

მსაჯულები მართლმსაჯულების განხორციელებისას სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით.

**მუხლი 2.** მოსამართლისა და მსაჯულისადმი წაყენებული მოთხოვნები

მოსამართლე და მსაჯული მართლმსაჯულებას უნდა ახორციელებდნენ საქართველოს რესპუბლიკის კანონების ზუსტი შესაბამისობით, დამოუკიდებლად, ამასთან იყვნენ სამართლიანი, ჰუმანური, პრინციპული და მიუკერძოებელი.

## პარი მემორე

### მოსამართლისა და მსაჯულის დამოუკიდებლობის გ ა რ ა ნ ტ ი ე ბ ი

**მუხლი 3.** მოსამართლისა და მსაჯულის დამოუკიდებლობა

მოსამართლე და მსაჯული დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მოსამართლისა და მსაჯულის დამოუკიდებლობას განაპირობებს მათი არჩევის (დანიშვნის) და გათავისუფლების კანონით დადგენილი წესი, მოსამართლისა და მსაჯულის ხელშეუხებლობა, მართლმსაჯულების განხორციელების მკაცრი იურიდიული პროცედურა, გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება და მისი გამხელის მოთხოვნის აკრძალვა. პასუხისმგებლობა სასამართლოს მიმართ უპატივცემლობისათვის ან კონკრეტულ საქმეთა გადაწყვეტაში ჩარევისათვის, სასამართლოების საქმიანობისათვის საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობების შექმნა, აგრეთვე, მოსამართლის მაღალი სტატუსის შესაფერისი მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფა.

**მუხლი 4.** პასუხისმგებლობა სასამართლოს უპატივცემლობისათვის

საქმის მონაწილე პირთა ან სასამართლო სხდომის დამსწრე მოქალაქის მხრივ სასამართლოს მიმართ უპატივცემლობის გამოვლენა, ან ისეთი მოქმედების ჩადენა, რომელიც სასამართლოს აშკარა უგულვებლყოფას მოწმობს, იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 5.** სასამართლო საქმეების გადაწყვეტაში ჩარევის დაუშვებლობა

მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლისა და მსაჯულის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია.

კონკრეტული საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის დაბრკოლების ან უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მიღწევის მიზნით მოსამართლეზე ან მსაჯულზე ზემოქმედება, რა ფორმითაც უნდა მოხდეს იგი, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მსობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება არა აქვთ წინასწარ განსაზღვრონ თავიანთ ცნობებში კონკრეტული საქმის გამო სასამართლო განხილვის შედეგები ან სხვაგვარად მოახდინონ ზემოქმედება სასამართლოზე, გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

**მუხლი 6.** მოსამართლისა და მსაჯულის ხელშეუხებლობა

მოსამართლე ან მსაჯული სასამართლოში თავისი მოვალეობის შესრულებისას არ შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისმგებაში, ან დაპატიმრებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების თანხმობის გარეშე.

მოსამართლის ან მსაჯულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა შეუძლია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების თანხმობით. ამასთან ერთად წყდება მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი გამოძიებისადმი ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი.

მოსამართლისა და მსაჯულის მიმართ სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების მოსამართლეთა და მსაჯულთა მიმართ — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებს.

არ დაიშვება დაკავება, იძულებით მოყვანა ან ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიებათა გამოყენება მოსამართლის მიმართ, აგრეთვე მსაჯულის მიმართ, როდესაც ისინი ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სასამართლოში.

**მუხლი 7.** მსაჯულის შრომის უფლებების გარანტია.

მსაჯულის დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით ან დისციპლინური სახდელის წესით გადაყვანა ნაკლებფუნქციონირებელ სამუშაოზე მისი უფლებამოსილების პერიოდში დაიშვება, ზოგადი წესის დაცვის გარდა, მხოლოდ მსაჯულის ამრჩევი შრომითი კოლექტივის თანხმობით.

### ტარი მისამე

#### მოსამართლის არჩევა (დანიშვნა). მსაჯულთა არჩევნები

**მუხლი 8.** მოსამართლეობისა და მსაჯულობის კანდიდატებისადმი წყვენიერი ბული მოთხოვნები

რაიონის (ქალაქის) მოსამართლედ შეიძლება დანიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 27 წელი, ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული — საკვალიფიკაციო გამოცდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დანიშნოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი, ფლობს ქართულ ენას, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიული სპეციალობით მუშაობის ხუთი წლის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.



აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი, ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სულ ცოტა წუთი წლის იურისტის სპეციალობით მუშაობის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი და ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.

### **მუხლი 9.** მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა

მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევენ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოები ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

მოსამართლეობის კანდიდატებად პირველად რეკომენდებული პირნი პროფესიულ მომზადებას გადიან იმ წესითა და შემთხვევებში, რომლებსაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევენ და წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის იურისტის სამინისტრო, ავტონომიურ რესპუბლიკებში — ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევენ და წარადგენენ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე ამ სასამართლოების თავმჯდომარეები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევენ და წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

### **მუხლი 10.** მოსამართლეთა არჩევის (დანიშვნის), მსაჯულთა არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადები

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით.

ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების



პრეზიდიუმები ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებზე წარდგინებითა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები ამ სასამართლოების თავმჯდომარეების წარდგინებითა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით, კენჭისყრით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულებს ირჩევს ქალაქის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მსაჯულებს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავენ ან ირჩევენ ათი წლის ვადით, ხოლო მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

ადმინისტრაციულ მოსამართლეებს ნიშნავენ ხუთი წლის ვადით.

თუ მოსამართლეს ან მსაჯულს უფლებამოსილების ვადა გაუდის სასამართლო საქმის განხილვისას, მას უფლებამოსილება გაუგრძელდება ამ საქმის განხილვის დამთავრებამდე.

მსაჯულის სასამართლოში მიწვევა მოვალეობის შესასრულებლად ხდება რიგითობის წესით, არა უმეტეს ორი კვირისა წელიწადში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვადის გაგრძელება აუცილებელია მისი მონაწილეობით დაწყებული სასამართლო საქმის განხილვის დასამთავრებლად.

**მუხლი 11.** მოსამართლისა და მსაჯულის ფიცი

პირველად დანიშნული ან არჩეული მოსამართლე და პირველად არჩეული მსაჯული დებენ ფიცს.

მოსამართლისა და მსაჯულის ფიცის ტექსტს, აგრეთვე ფიცის დადების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

## ბარი მემოთხე

### მოსამართლისა და მსაჯულის უფლება-მოვალეობანი

**მუხლი 12.** მოსამართლისა და მსაჯულის უფლებები

მოსამართლესა და მსაჯულს აქვთ მართლმსაჯულების განსახორციელებლად საჭირო უფლებამოსილება.

მოსამართლეს აგრეთვე აქვს უფლება:

მოსახოგოს თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს შეასრულონ მისი განკარგულებანი, რომლებიც დაკავშირებულია მოსამართლეებისათვის კანონით დაკისრებული მოვალეობების განხორციელებასთან;

შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებში, კოოპერატივებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან წარდგინებანი კანონის დარღვევების ან დარღვევის ხელშემწყობი მიზეზების და პირობების აღმოფხვრის შესახებ;

გამოითხოვოს მისთვის საჭირო ინფორმაცია.

სახელმწიფო ორგანოები, კოოპერატივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი ვალდებული არიან შეასრულონ მოსამართლის მოთხოვნები.

**მუხლი 13.** მოსამართლისა და მსაჯულის მოვალეობანი

მოსამართლეები და მსაჯულები სამოქალაქო სამართლის საქმეების, სისხლის სამართლის საქმეებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალე არიან ზუსტად შეასრულონ კანონის მოთხოვნები, უზრუნველყონ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, სახელისა და ღირსების, საზოგადოების ინტერესების დაცვა, სასამართლო საქმიანობის მაღალი კულტურა და აღმზრდელობითი ზემოქმედება, იყვნენ სამართლიანი და ჰუმანური.

მსაჯულები მოვალენი არიან ეუფლებოდნენ სამართლებრივ ცოდნას, მოემზადონ ყოველი საქმის სასამართლო გარჩევისათვის.

მოსამართლეებმა წინასწარ უნდა გააცნონ მსაჯულებს განსახილველი საქმეები, მოქმედი კანონმდებლობა და მისი გამოყენების პრაქტიკა.

მოსამართლეებსა და მსაჯულებს არა აქვთ უფლება გაამჟღავნონ მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება და დახურული სასამართლო სხდომების ჩატარებისას მიღებული ცნობები.

მსაჯულები მოვალენი არიან დროულად გამოცხადდნენ სასამართლოში მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

მსაჯულთა სასამართლოში გამოძახების უზრუნველყოფა სავალდებულოა იმ საჭარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისათვის, სადაც მუშაობს ან სწავლობს მსაჯული.

### პირი მესამე

მოსამართლეთა კონფერენციები, მოსამართლეთა  
საკვალიფიკაციო კოლეგიები

**მუხლი 14.** მოსამართლეთა კონფერენციები

საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებენ:

საქართველოს რაიონის (ქალაქის), საქალაქო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენცია, ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) და უზენაესი სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციები;

მოსამართლეთა კონფერენციები განიხილავენ სასამართლო პრაქტიკაში წარმოქმნილ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს, მიმართავენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს წინადადებებით სახელმძღვანელო განმარტების მიცემის, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგინების ან კანონის განმარტების შესახებ წარდგინების შეტანის თაობაზე.

კონფერენციები ირჩევენ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს.

კონფერენციების მოწვევისა და მოწყობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 15.** მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები აირჩევა მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიების გაძლიერების მიზნით.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები აირჩევა ამ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული მოსამართლეთა კონფერენციების მიერ მოსამართლეთა რიცხვიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას ამავე სასამართლოს წევრთა რიცხვიდან ირჩევს ამ სასამართლოს პლენუმი.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევის წესს და საქმიანობის ორგანიზაციას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

## პარი მემქმსა

**მოსამართლისა და მსაჯულის გაწვევა და ვადამდე გათავისუფლება.**

**მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა**

**მუხლი 16.** მოსამართლისა და მსაჯულის გაწვევა და ვადამდე გათავისუფლება

მოსამართლესა და მსაჯულს შეიძლება ვადამდე ჩამოართვას უფლებამოსილება მხოლოდ მათმა ამრჩევმა (დამნიშნავმა) ორგანომ კანონის უზღუდვით დარღვევის ან სახელის გამტეხი საქციელის ჩადენისათვის, რომელიც შეუთავსებელია მის მაღალ წოდებასთან, აგრეთვე მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

მოსამართლე ან მსაჯული შეიძლება ვადამდე გათავისუფლდეს დაკისრებული მოვალეობების შესრულებისაგან:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომელიც ხელს უშლის მუშაობის გაგრძელებას;

სხვა თანამდებობაზე არჩევის ან მისი თანხმობით სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო;

საკუთარი სურვილით.

მოსამართლის გაწვევის საკითხი წყდება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიისა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს დასკვნების გათვალისწინებით.

მოსამართლისა და მსაჯულის გაწვევისა და ვადამდე გათავისუფლების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 17.** მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა

მოსამართლე შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში:

სასამართლო საქმეების განხილვისას კანონიერების დარღვევისათვის;

სხვა სამსახურებრივი ვადაცდომისათვის;

სახელის გამტეხი საქციელისათვის.

დისციპლინურ პასუხისგებაში მოსამართლის მიცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

## პარი მუშვიდი

### დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 18.** მოსამართლის საკვალიფიკაციო ატესტაცია

მოსამართლე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი წესით გადის ატესტაციას, რომლის შედეგების მიხედვით მას ენიჭება საკვალიფიკაციო კლასი.

მოსამართლის საკვალიფიკაციო ატესტაციის ჩატარების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 19.** მოსამართლის მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფა მოსამართლეს ხელფასი უწყსდება საკვალიფიკაციო ატესტაციის მიერ მინიჭებული საკვალიფიკაციო კლასის გათვალისწინებით.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოები მოვალენი არიან არჩევიდან (დანიშნვიდან) არა უგვიანეს ექვსი თვის ვადაში უზრუნველყონ მოსამართლე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინით.

**მუხლი 20.** მოსამართლის შეთავსებით მუშაობა

მოსამართლის მუშაობა შეთავსებით დაიშვება პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისას.

**მუხლი 21.** მსაჯულისათვის ხელფასის, სხვა გადასახდელებისა და შეღავათების შენარჩუნება სასამართლოში მის მიერ მოვალეობის შესრულებისას

მსაჯულს სასამართლოში მოვალეობის შესრულებისას მუდმივ სამუშაო ადგილზე ენახება საშუალო ხელფასი.

სხვა გადასახდელებისა და შეღავათების მიმართ მსაჯულის მიერ სასამართლოში მოვალეობის შესრულების დრო გათანაბრებულია ძირითადი სამუშაოს შესრულების დროსთან.

სასამართლოში მსაჯულის მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესს და ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 22.** სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოები. მოსამართლისა და მსაჯულის მოწმობები

სასამართლოებში სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოებს, მოსამართლისა და მსაჯულის მოწმობათა ნიმუშებს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 28 დეკემბერი.

№ 89—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
დადგენილება

**390** „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 28 დეკემბერი.

№ 97—I ს.

## საქართველოს რესპუბლიკის

## კ ა ნ ო ნ ი

391 საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების  
შესახებ

## კ ა რ ი I

## ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო.

**მუხლი 2.** საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა სასამართლო წყობილების შესახებ

სასამართლო წყობილებას საქართველოს რესპუბლიკაში განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, შესაბამისად—აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კონსტიტუცია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

**მუხლი 3.** სასამართლოს ამოცანები

მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლო იცავს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად უფლებებსა და თავისუფლებებს, მოქალაქეთა კანონით დაცულ ინტერესებს, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოოპერატივების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

**მუხლი 4.** მართლმსაჯულების განხორციელება

მართლმსაჯულება საქართველოს რესპუბლიკაში ხორციელდება:

სასამართლო სხდომებზე იმ სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის გზით, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოოპერატივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასთან;

სასამართლო სხდომებზე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის, განსაჯელთა ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტის, დანაშაულის ჩადენაში ბრალეული პირების მიმართ კანონით დადგენილი სასჯელის ზომის გამოყენების ან უდანაშაულოთა გამართლების გზით.

**მუხლი 5.** სასამართლოებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა განხილვა

რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში ადმინისტრაციული მოსამართლეები განიხილავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით მათ გამგებლობას ვანეკუთვნება.

**მუხლი 6.** მოქალაქეთა თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე

საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე წარმოშობის,

სოციალური, თანამდებობრივი და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი ეროვნული და პარტიული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისა და დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

**მუხლი 7.** მოქალაქეთა სასამართლო დაცვის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების არამართლმიერი მოქმედებისაგან, აგრეთვე პატივისა და ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ქონების, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებისა და თავისუფლებების ყოველი ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება. მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სხვაგვარ წესს ადგენს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კანონები.

სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარგებლობენ სასამართლო დაცვის უფლებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების თანაბრად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 8.** მართლმსაჯულების განხორციელება კანონის ზუსტი შესაბამისობით

საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებს კანონით დადგენილ შემთხვევებში შეუძლიათ გამოიყენონ სხვა რესპუბლიკების კანონმდებლობაც.

**მუხლი 9.** მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება

მოსამართლეები და მსაჯულები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

**მუხლი 10.** სასამართლოს შექმნა

რაიონის (ქალაქის), თბილისის საქალაქო სასამართლოები იქმნება მოსამართლეთა დანიშვნისა და მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები იქმნება მოსამართლეთა და მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

**მუხლი 11.** მსაჯულთა და მოსამართლეთა თანასწორი უფლებები მართლმსაჯულების განხორციელებისას

მსაჯულები მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლის თანასწორი უფლებით სარგებლობენ.



## მუხლი 12. კოლეგიურობა სამოქალაქო და სისხლის სამართლის განხილვის დროს

პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები განიხილება კოლეგიურად მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად საქმეები იმ დახაშაულობათა გამო, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, განიხილება მოსამართლისა და ექვსამდე მსაჯულის შემადგენლობით.

დანაშაულობათა საქმეების განხილვისას, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მსაჯულთა რაოდენობის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო სამართალში მიცემის სტადიაში.

შესაბამისი სასამართლოების სასამართლო კოლეგიებში საკასაციო და საზედამხებველო წესით საქმეთა განხილვა ხორციელდება სამი მოსამართლის შემადგენლობით.

სასამართლოს პრეზიდიუმი იხილავს საქმეებს, თუ არის პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა.

სასამართლოს პლენუმი საქმეებს იხილავს, თუ არის მისი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

## მუხლი 13. ენა, რომელზეც სამართალწარმოება ხორციელდება

საქართველოს რესპუბლიკაში სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე. საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებმაც არ იციან სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის, სასამართლოში მშობლიურ ენაზე გამოსვლის უფლება.

## მუხლი 14. საქმეთა ღია გარჩევა ყველა სასამართლოში

ყველა სასამართლოში საქმეთა გარჩევა ღიაა.

საქმის მოსმენა სასამართლოს დახურულ სხდომაზე შეიძლება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

სასამართლოების გადაწყვეტილებები და განაჩენები ყველა შემთხვევაში ცხადდება საჯაროდ.

## მუხლი 15. ექვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფლებების უზრუნველყოფა. უდანაშაულობის პრეზუმცია

ექვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს აქვთ დაცვის უფლება. ეს უფლება მათთვის უზრუნველყოფილია დამცველის მონაწილეობით დაკავების, დაპატიმრების ან ბრალდების წაყენების მომენტიდან.

ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით.

**მუხლი 16.** ადვოკატების მიერ მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევა

სამოქალაქო სამართლის საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სამართალწარმოებაში მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს იურიდიულ დახმარებას უწევენ ადვოკატები.

ადვოკატების მიერ იურიდიული დახმარების გაწევის წესს, აგრეთვე სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სამართალწარმოებაში მონაწილე ადვოკატთა უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

**მუხლი 17.** პროკურორის მონაწილეობა სასამართლოებში საქმეთა განხილვის დროს

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები სასამართლოებში საქმეთა განხილვაში მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით.

**მუხლი 18.** სასამართლოში საქმეთა განხილვისას საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში სამოქალაქო სამართლის საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის დროს დაიშვება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

**მუხლი 19.** სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროების მიერ მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დაქვემდებარების პრინციპის დაცვით.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს ორგანიზაციულ ხელშეწყობას აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოებისადმი, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისადმი.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროები ახორციელებენ ორგანიზაციულ ხელშეწყობას რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისადმი.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროები შეიმუშავენ და შეიტანენ ხელისუფლების შესაბამის ადგილობრივ ორგანოებში წინადადებებს სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების მოწყობის საკითხებზე; ახორციელებენ მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევას, მომზადებას და წარდგენას, სასამართლო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, ამოწმებენ სასამართლოების

ძუშაობის ორგანიზაციას; შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო ტიკას; ორგანიზაციას უწევენ ძუშაობას სასამართლოების მატერიალურ-ტიკური უზრუნველყოფისა და მათთვის საქმიანობის სათანადო პირობების შექმნის, სასამართლო სტატისტიკის წარმოების, სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის; შეიმუშავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმზე შეაქვს წინადადებანი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტებათა მიცემის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

## კ ბ რ ი ი

### სასამართლო სისტემა

## თ ბ ვ ი

### საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები

**მუხლი 20.** საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებია: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო და რაიონის (ქალაქის) სასამართლოები.

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებში შეიძლება შეიქმნას ცალკეულ კატეგორიათა საქმეების განხილვაზე დასპეციალებული სასამართლო შემადგენლობა.

## თ ბ ვ ი ი

### რაიონის (ქალაქის) სასამართლოები

**მუხლი 21.** რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შექმნა

რაიონის (ქალაქის) სასამართლო შეიქმნება რაიონში, ქალაქში (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა), ქალაქის რაიონში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის წარდგინებით შეუძლია შექმნას ერთი რაიონის (ქალაქის) სასამართლო რაიონისა და ქალაქისათვის.

**მუხლი 22.** რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შემადგენლობა

რაიონის (ქალაქის) სასამართლო შედგება სასამართლოს თავმჯდომარის, მოსამართლეების, ადმინისტრაციული მოსამართლისა და მსაჯულებისაგან.

თუ რაიონის (ქალაქის) სასამართლოში დანიშნულია ერთი მოსამართლე, იგი ახორციელებს რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შემადგენლობაში ორი ან მეტი მოსამართლის დანიშვნის შემთხვევაში მათი რიცხვიდან ინიშნება სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო ოთხზე მეტი მოსამართლის დანიშვნისას — შეიძლება დანიშნოს აგრეთვე თავმჯდომარის მოადგილეც.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარეებსა და მოადგილეებს ნიშნავენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრები.

#### **მუხლი 23.** მოსამართლეების რაოდენობა

თითოეული რაიონის (ქალაქის) სასამართლოსათვის მოსამართლეთა და ადმინისტრაციულ მოსამართლეთა რაოდენობას აწესებს შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროების წარდგინებით.

#### **მუხლი 24.** რაიონის (ქალაქის) სასამართლოს უფლებამოსილება

რაიონის (ქალაქის) სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართლის და სისხლის სამართლის ყველა საქმეს; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც კანონით სხვა სასამართლოს გამგებლობას განეკუთვნება.

რაიონის (ქალაქის) სასამართლო შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, სამართლებრივ დახმარებას უწევს ამხანაგურ სასამართლოებს, აგრეთვე ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

#### **მუხლი 25.** რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარე

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარე:

1) თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომებს; სასამართლო სხდომების თავმჯდომარედ ნიშნავს მოსამართლეებს, ანაწილებს სხვა მოვალეობებს მოსამართლეთა შორის;

2) ორგანიზაციას უწევს მსაჯულებთან მუშაობას;

3) აწარმოებს პირად მიღებას, ორგანიზაციას უწევს სასამართლო მუშაობას მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში;

4) ხელმძღვანელობს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას და სასამართლო სტატისტიკის წარმოებას; შეაქვს წარდგინებები სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

5) წარადგენს დასანიშნად სასამართლოს აღმასრულებლებს, კანცელარიის გამგეს, სხდომის მდივნებს და ორგანიზაციას უწევს მათ მუშაობას, ნიშნავს და თავისუფლებს სასამართლო აპარატის სხვა მუშაკებს;

6) ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

7) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს მუშაკების კვალიფიკაციის, აგრეთვე მსაჯულების სამართლებრივი ცოდნის დონის ასამაღლებლად;

8) ორგანიზაციას უწევს სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და კანონმდებლობის განმარტებისათვის მუშაობას, ამხანაგური სასამართლოებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენას;

9) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 26.** რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე:

1) თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომებს;

2) აწარმოებს მოქალაქეთა პირად მიღებას;

3) შეაქვს წარდგინებები სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებთან კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

4) ახორციელებს მოვალეობის განაწილების შესაბამისად სასამართლო აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის ხელმძღვანელობას.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს მის ცალკეულ ფუნქციებს და თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან მის მიერ მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობისას ცვლის მას.

**მუხლი 27.** რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის ან მოსამართლის შეცვლა მისი დროებით არყოფნის შემთხვევაში

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნის შემთხვევაში (ავადმყოფობა, შვებულება და ა. შ.) მისი მოვალეობის შესრულება, სადაც არ არის თავმჯდომარის მოადგილე, შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრების მიერ შეიძლება დაეკისროს ამ სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს.

მოსამართლის დროებით არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრების მიერ შეიძლება დაეკისროს ამ სასამართლოს აღმინისტრაციულ მოსამართლეს ან სხვა რაიონის სასამართლოს მოსამართლეს.

**მუხლი 28.** მსაჯულთა საბჭო

რაიონის (ქალაქის) სასამართლოსთან იქმნება მსაჯულთა საბჭო.

მსაჯულთა საბჭოს ორგანიზაციას, ამოცანებს და საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

### თბილისის საქალაქო სასამართლო

**მუხლი 29.** თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა თბილისის საქალაქო სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და მსაჯულებისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით: სასამართლოს პრეზიდიუმი; სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია; სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია. თბილისის საქალაქო სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

**მუხლი 30.** თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების დანიშვნის წესი  
 თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს ამ სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

**მუხლი 31.** თბილისის საქალაქო სასამართლოს უფლებამოსილება  
 თბილისის საქალაქო სასამართლო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო; თბილისის რაიონების სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებისას შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, აწალიწებს სასამართლო სტატისტიკას, ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 32.** თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი  
 თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი იკმნება თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და წევრების შემადგენლობით. პრეზიდიუმის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას ქალაქ თბილისის პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

**მუხლი 33.** თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი:

1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით მოსამართლეთა რიცხვით ამტკიცებს საქალაქო სასამართლოს საქმეთა სასამართლო კოლეგიის და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობას;

3) განიხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისა და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

4) მოისმენს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის შესახებ; განიხილავს სასამართლოს აპარატის მუშაობის საკითხებს;

5) დახმარებას უწევს თბილისის რაიონის სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში;

6) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 34.** თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის მუშაობის წესი თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმს იწვევენ სულ ცოტა თვეში ორჯერ.

პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა.

პრეზიდიუმის დადგენილება მიიღება ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმის უმრავლესობით.

პრეზიდიუმის დადგენილებას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

**მუხლი 35.** თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიები

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიასა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას ამტკიცებს თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი ამ სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან.

სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეებს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეთაგან ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში თავისი განკარგულებით ერთი კოლეგიის მოსამართლე საქმის განსახილველად ჩააბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

**მუხლი 36.** თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიათა უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაცოო წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, აანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 37.** თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე;

1) უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს კოლეგიების სასამართლო სხდომებს;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შევიდეს მართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

3) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულება;

4) იწვევს სასამართლოს პრეზიდიუმს და თავმჯდომარეობს მის სხდომებს;

5) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიების მუშაობის ორგანიზაციას და სასამართლოს აპარატის მუშაობას;

6) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს წევრებისა და სასამართლოს აპარატის მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

7) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს. სახელმწიფო ორგანოებში; საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

8) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, მათი წონადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში;

9) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ანაწილებს მოვალეობებს თავმჯდომარის მოადგილეთა შორის.

**მუხლი 38.** თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:

1) უფლებამოსილი არიან თავმჯდომარეობდნენ კოლეგიების სასამართლო სხდომებს,

2) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებენ სასამართლო კოლეგიებისა და სასამართლოს აპარატის მუშაობის ხელმძღვანელობას;

3) აწარმოებენ მოქალაქეთა პირად მიღებას;

4) ახორციელებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლებამოვალეობებს მისი დავალებით ახორციელებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

**მუხლი 39.** თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები

თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები:

1) თავმჯდომარეობენ კოლეგიების, სასამართლო სხდომებს ან ნიშნავენ ამისათვის სასამართლოს წევრებს;

2) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;



3) ქმნიან სასამართლოს შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;

4) სასამართლოს პრეზიდიუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ;

5) უფლებამოსილი არიან გამოითხოვონ თბილისის რაიონის სასამართლოებიდან სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისათვის;

6) ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

#### თ ა ვ ი V

### აფხაზეთის ასსრ უზენაესი სასამართლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო

**მუხლი 40.** აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლო ორგანოებია

აფხაზეთის ასსრ უზენაესი სასამართლო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლო ორგანოებია.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოებმა ახორციელებენ ზედამხედველობას ავტონომიური რესპუბლიკების ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობისადმი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 41.** აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების ანგარიშვალდებულება

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები უფლებამოსილებას პერიოდში ორჯერ მაინც წარუდგენენ თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

**მუხლი 42.** აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების შემადგენლობა

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილის, წევრებისა და მსაჯულებისაგან.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი;

სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 43.** ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების არჩევის წესი ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს ირჩევენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

**მუხლი 44.** ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო:

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

ზედამხედველობს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების სასამართლო საქმიანობას, აგრეთვე შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებს სასამართლო სტატისტიკას;

ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

**მუხლი 45.** ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება თავმჯდომარის, მისი მოადგილის და წევრობის შემადგენლობით ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე, სასამართლო საქმეთა კანონისას ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

**მუხლი 46.** ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს სამოქალაქო სამართლის სასამართლო კოლეგიის და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობას;

3) განიხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების და მართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

4) ისმენს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიათა საქმიანობის შესახებ; განიხილავს სასამართლოს აპარატის მუშაობის საკითხებს;

5) განიხილავს და გადაწყვეტს საკითხებს წარდგინებათა შეტანის შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის გახზორციელების წესით და ავტონომიური რესპუბლიკის კანონების განმარტების თაობაზე;

6) დახმარებას უწევს რაიონის (ქალაქის) სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში;

7) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 47.** ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის მუშაობის წესი

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომები ტარდება სულ ცოტა თვეში ორჯერ.

უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა.

პრეზიდიუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრის მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

პრეზიდიუმის დადგენილებას ხელს აწერს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

**მუხლი 48.** ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიები

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან.

სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეებს ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის და წევრების რიცხვიდან.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს საქიროების შემთხვევაში თავისი განკარგულებით ერთი კოლეგიის მოსამართლე საქმის განსახილველად ჩააბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

**მუხლი 49.** ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სასამართლოს საქმეთა სასამართლო კოლეგია და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 50.** ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:

1) უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს კოლეგიების სასამართლო სხდომებს;

2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედის სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განჩინებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

3) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა და განჩინებათა აღსრულება;

4) იწვევს სასამართლოს პრეზიდიუმს და თავმჯდომარეობს მის სხდომებს;

5) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიების მუშაობის ორგანიზაციასა და სასამართლოს აპარატის მუშაობას;

6) ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეაქვს წარდგინებები იმ საკითხებზე, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის კანონების განმარტებას მოითხოვენ;

7) ორგანიზაციას უწევს მუშაობას სასამართლოს წევრებისა და სასამართლოს აპარატის მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

8) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

9) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში;

10) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 51.** ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე:

1) უფლებამოსილია თავმჯდომარეობდეს კოლეგიების სასამართლო სხდომებს;

2) მთავალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებს სასამართლო კოლეგიებისა და სასამართლოს აპარატის მუშაობის ხელმძღვანელობას;

3) აწარმოებს მოქალაქეთა პირად მიღებას;

4) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილების ვადის შესრულებაში თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს მისი დავალებით ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე.

**მუხლი 52.** ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეჯიათა თავმჯდომარეები

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეჯიათა თავმჯდომარეები:

1) თავმჯდომარეობენ სასამართლო სხდომებს იმ კოლეჯიებში, რომელთაც ხელმძღვანელობენ ან ხიშნავენ ამისათვის სასამართლოს წევრებს;

2) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეჯიების მუშაობას;

3) ქმნიან სასამართლოს შემადგენლობებს კოლეჯიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;

4) ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეჯიათა საქმიანობის შესახებ;

5) უფლებამოსილი არიან გამოითხოვონ რაიონის (ქალაქის) სასამართლოებიდან სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისათვის;

6) ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

## თ ა ვ ი ვ

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო

**მუხლი 53.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანოა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ორგანო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ახორციელებს ზედამხედველობას საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 54.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ანგარიშვალდებულება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო უფლებამოსილების პერიოდში არაბაკლებ ორჯერ წარუდგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

**მუხლი 55.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და მსაჯულებისაგან და მოქმედებს შემადგენლობით:

უზენაესი სასამართლოს პლენუმი;

უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი;

სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

**მუხლი 56.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის წესი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით.

**მუხლი 57.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო:

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ ვარაუდობათა გამო;

შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებს სასამართლო სტატისტიკას და სასამართლოებს აძლევს სახელმძღვანელო განმარტებებს სასამართლო საქმეთა განხილვისას წამოჭრილ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებანი სავალდებულოა სასამართლოებისათვის, სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირთათვის, რომლებიც იყენებენ ამ კანონს;

აწორციელებს კონტროლს საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებათა შესრულებაზე;

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საკითხებს;

აწორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

**მუხლი 58.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრების, აფნაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების შემადგენლობით.

პლენუმის სხდომებში მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი. საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მონაწილეობა პლენუმის მუშაობაში სავალდებულოა.

პლენუმის სხდომებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოწვევით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მოსამართლეებმა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოსთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

**მუხლი 59.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი:

1) განიხილავს სასამართლო პრაქტიკისა და სასამართლო სტატისტიკის შესწავლისა და განზოგადების მასალებს, სასამართლოებს აძლევს სახელმძღვანელო განმარტებებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე; სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტებების მიცემის საკითხების განხილვისას მოისმენს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რაიონის (ქალაქის) სასამართლოების თავმჯდომარეთა ინფორმაციებს სასამართლო პრაქტიკაში კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე;

2) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს სასამართლო კოლეგიათა შემადგენლობას და პლენუმის მდივანს;

3) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოსთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს;

4) განიხილავს და წყვეტს საკითხებს წარდგინებათა შეტანის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების წესით, ასევე კანონების განმარტების თაობაზე;

5) ისმენს ინფორმაციებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის თაობაზე;

6) განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე შეტანილ საზედამხებველო პროტესტებს;

7) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 60.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ საკითხების განხილვა

ამ კანონის შესაბამისად პლენუმის განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ან საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მიერ შეტანილ საკითხებზე მოისმენენ შესაბამისად მათ მოხსენებებს ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მოხსენებებს. ამასთან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ან საქართველოს რესპუბლიკის იუს-

ტიციის მინისტრის მიერ განსახილველად შეტანილ საკითხებზე, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი აძლევს დასკვნას. ამ საკითხების განხილვაში აგრეთვე შეიძლება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს რესპუბლიკის უწყვეტი სასამართლოს პლენუმის სხდომებზე მოწვეულმა პირებმა.

საუელმძღვანელო განმარტებათა შესახებ დადგენილების პროექტის მომზადებისათვის პლენუმი საჭიროების შემთხვევაში პლენუმის წევრთა რიცხვიდან შემოს სარედაქციო კომისიას.

**მუხლი 61.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის მუშაობის წესი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმს იწვევენ ოთხ თვეში ერთხელ მანც. პლენუმის მოწვევის დროისა და მის განსახილველად შეტანილი საკითხების შესახებ სხდომამდე არაუგვიანეს თხუთმეტი დღისა აცნობებენ პლენუმის წევრებს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორს და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს.

პლენუმის დადგენილებათა პროექტები სხდომის დაწყებამდე არაუგვიანეს ათი დღისა ეგზავნებათ პლენუმის წევრებს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორს და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მისი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. პლენუმის დადგენილებაში იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პლენუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

პლენუმის დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და პლენუმის მდივანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის მდივანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან ერთად ეწვევა ორგანიზაციულ მუშაობას პლენუმის სხდომების მოსამზადებლად, უზრუნველყოფს ოქმის შედგენას და ასრულებს საჭირო მოქმედებებს პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებათა განსახორციელებლად.

**მუხლი 62.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და წევრების შემადგენლობით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე სასამართლო საქმეთა განხილვისას საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს ივსე-  
კეხ თვეში ერთხელ მაინც.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდო-  
მა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის შემადგენლობის უმრავ-  
ლესობა.

პრეზიდიუმის დადგენილებას იღებენ ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონა-  
წილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით და მას ხელს აწერს საქა-  
რთველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

**მუხლი 63.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდი-  
უმის უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს საქმეებს ზედამხე-  
დველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო;

2) განიხილავს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების და სასა-  
მართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;

3) განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასა-  
მართლო კოლეგიებისა და აპარატის მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს;

4) დახმარებას უწევს ქვემდგომ სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად  
გამოყენებაში; ამასთან ახდენს ამ საქმიანობის კოორდინაციას საქართველოს  
რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან;

5) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

**მუხლი 64.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამარ-  
თლო კოლეგიები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამარ-  
თლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას და სისხლის სამართლის საქმეთა სასა-  
მართლო კოლეგიას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამარ-  
თლოს პლენუმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრთა  
რიცხვიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფ-  
ლება აქვს საჭიროების შემთხვევაში თავისი განკარგულებით ერთი კოლეგიის  
მოსამართლე საქმის განხილვისათვის ჩააბას სხვა კოლეგიის შემადგენლობაში.

**მუხლი 65.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამარ-  
თლო კოლეგიათა უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამარ-  
თლის საქმეთა სასამართლო კოლეგია და სისხლის სამართლის საქმეთა სასამარ-

რთლო კოლეგია თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციით, საკასაციო წესით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო კოლეგიები შეისწავლიან და განაზოგადებენ სასამართლო პრაქტიკას, ანალიზებენ სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

✓ მუხლი 66. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:

1) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედის სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;

2) კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილია შეაჩეროს სასამართლო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულება;

3) იწვევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმს და თავმჯდომარეობს პლენუმის სხდომებს;

4) იწვევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს და მის განსახილველად შეაქვს საკითხები, თავმჯდომარეობს პრეზიდიუმის სხდომებს; შეუძლია ითავმჯდომარეოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე ნებისმიერი საქმის განხილვისას;

5) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განაზოგადებას, სასამართლო სტატისტიკის ანალიზს; სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებთან შეაქვს წარდგინებები კანონის დარღვევის, სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ, აგრეთვე ორგანიზაციას უწევს მუშაობას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განხორციელებათა შესრულებაზე კონტროლის განსახორციელებლად და შეაქვს მასალები პლენუმის განსახილველად;

6) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წარუდგენს ანგარიშს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საქმიანობის შესახებ;

7) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოში შეაქვს წარდგინებები იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონების განმარტებას მოითხოვენ;

8) ახწილებს ძოვალეობებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის;

- 9) ხელმძღვანელობს სასამართლო კოლეგიათა მუშაობის ორგანიზაციას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს აპარატის მუშაობას;
- 10) აწარმოებს პირად მიღებას და ორგანიზაციას უწყევს სასამართლოს მუშაობას მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისათვის;
- 11) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
- მუხლი 67.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები
- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები:
- 1) უფლებამოსილი არიან თავმჯდომარეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიათა სასამართლო სხდომებს;
  - 2) კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით პროტესტით შედიან სასამართლო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე;
  - 3) კახობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით უფლებამოსილი არიან შეაჩერონ სასამართლო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულება;
  - 4) მოვალეობათა განაწილების შესაბამისად ახორციელებენ ხელმძღვანელობას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა და აპარატის სტრუქტურული ქვეგანყოფილების მუშაობაზე;
  - 5) აწარმოებენ მოქალაქეთა პირად მიღებას;
  - 6) ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.
- მუხლი 68.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეები
- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საშოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეები:
- 1) თავმჯდომარეობენ სასამართლო სხდომებს იმ კოლეგიაში, რომელსაც ხელმძღვანელობენ ან ამისათვის ნიშნავენ სასამართლოს წევრებს;
  - 2) ქმნიან სასამართლო შემადგენლობებს კოლეგიების სასამართლო სხდომებზე საქმეთა განსახილველად;
  - 3) ხელმძღვანელობენ შესაბამისი კოლეგიების მუშაობას;
  - 4) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმს წარუდგენენ ანგარიშებს კოლეგიების საქმიანობის შესახებ;
  - 5) უფლებამოსილი არიან გამოითხოვონ სასამართლო საქმეები სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებისათვის;

6) ორგანიზაციას უწევენ მუშაობას შესაბამისი სასამართლო კოლეგიის სასამართლოს წევრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

7) ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.  
**მუხლი 69.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ბიულეტენი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო გამოსცემს „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ბიულეტენს“.

### პ ა რ ო III

#### მოსამართლეები და მსაჯულები

**მუხლი 70.** ნოთხოვნები, რომლებიც წარედგინებათ მოსამართლეობისა და მსაჯულობის კანდიდატებს

რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის), თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 27 წელი, ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული — საკვალიფიკაციო გამოცდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიული სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი, ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და იურიდიული სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 25 წელი და ფლობს ქართულ ენას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.

**მუხლი 71.** მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევა და წარდგენა

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევს და წარადგენს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, ავტონომიურ რესპუბლიკებში — ავტონომი-

ური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით, საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევნ და წარადგენენ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოთა თავმჯდომარეები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით, საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შეარჩევს და წარადგენს ამ სასამართლოს თავმჯდომარე საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

მოსამართლედ პირველად დასახელებული კანდიდატები პროფესიულ მომზადებას გადიან საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში და წესით.

**მუხლი 72.** მოსამართლეთა დანიშვნის ან არჩევის, მსაჯულთა არჩევის წესი რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით.

ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, ავტონომიურ რესპუბლიკებში — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოთა თავმჯდომარეების წარდგინებით, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულებს ირჩევენ ქალაქის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მსაჯულებს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 73.** მოსამართლეებისა და მსაჯულების უფლებამოსილების ვადები ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავენ ან ირჩევენ ათი წლის ვადით.

ყველა სასამართლოს მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

**მუხლი 74.** მსაჯულთა ანგარიშვალდებულება

მსაჯულები ანგარიშვალდებული არიან მათი ამოჩვევი ორგანოების ან ამომრჩეველთა წინაშე და ანგარიშს აბარებენ მათ.

**მუხლი 75.** მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაცია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილი წესით მოსამართლეები გადაიან ატესტაციას: ატესტაციის შედეგების, კვალიფიკაციისა და მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით მათ მიენიჭებათ საკვალიფიკაციო კლასები.

**მუხლი 76.** სასამართლოში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობას განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების წარდგინებით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში და თბილისის საქალაქო სასამართლოში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით.

**მუხლი 77.** სასამართლოში მოვალეობათა შესასრულებლად მსაჯულების მოწვევის ვადა

მსაჯულებს სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად მოიწვივან რიგის მიხედვით. ვადით არა უმეტეს ორი კვირისა წელიწადში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვადის გაგრძელება აუცილებელია მათი მონაწილეობით დაწყებული სასამართლო საქმის განხილვის დასამთავრებლად.

**მუხლი 78.** მსაჯულებისათვის მატერიალური და სხვა ანაზღაურებისა და შეღავათების შენარჩუნება სასამართლოში მათ მიერ მოვალეობათა შესრულების დროს

მსაჯულებს სასამართლოში მოვალეობის შესრულების განმავლობაში გარანტირებული აქვთ მუდმივ სამუშაო ადგილას საშუალო ხელფასის შენარჩუნება და ამასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ანაზღაურება.

რაც შეეხება სხვა ანაზღაურებებსა და შეღავათებს, სასამართლოში მოვალეობის შესრულების დრო გათანაბრებულია ძირითადი სამუშაოს შესრულების დროსთან.

**მუხლი 79.** მოსამართლეთა კონფერენცია

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის), საქალაქო სასამართლოების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეებს, აღმინისტრაციულ მოსამართლეებს წელიწადში არანაკლებ ერთხელ იწვევენ მოსამართლეთა კონფერენციებზე.



მოსამართლეთა კონფერენციები განიხილავენ სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს, მიმართავენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წინადადებებზე, სახელმძღვანელო განმარტების შიკების, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგინების ან კანონის განმარტების შესახებ წარდგინების შეტანის თაობაზე, აგრეთვე ირჩევენ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს.

**მუხლი 80.** მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევენ რაიონის (ქალაქის) და ზემდგომი სასამართლოების მოსამართლეთა რიცხვიდან. რაიონის (ქალაქის) მოსამართლეები კოლეგიის წევრთა ნახევარს მაინც უნდა შეადგენდნენ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების შემადგენლობაში არ შედიან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგიას უზენაესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდან ირჩევენ ამ სასამართლოს პლენუმი.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის რაოდენობრივი შემადგენლობა მისი არჩევის დროს განისაზღვრება.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია აირჩევა ხუთი წლის ვადით.

**მუხლი 81.** საკვალიფიკაციო კოლეგიების უფლებამოსილება

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები:

აფასებენ მოსამართლედ და ადმინისტრაციულ მოსამართლედ პირველად დასახელებული კანდიდატის მზადყოფნას სასამართლო საქმიანობისათვის და უწყობენ მას საკვალიფიკაციო გამოცდას;

იძლევიან დასკვნას მოსამართლეთა გაწვევის საკითხის შესახებ;

განიხილავენ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

**მუხლი 82.** მოსამართლეთა და მსაჯულთა ვადამდე განთავისუფლება და გაწვევა

მოსამართლეებს და მსაჯულებს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვათ უფლება-მოსილება სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის უხეში დარღვევისათვის ან მათ ძალად წოდებასთან შეუთავსებელი სახელის გამტეხი საქციელისათვის, აგრეთვე მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეები და მსაჯულები შეიძლება ვადამდე გათავისუფლდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებისაგან.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის მუშაობის გაგრძელებას;

სხვა თანამდებობაზე არჩევის ან მათი თანხმობით სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო;

საკუთარი სურვილით.

მოსამართლეთა და მსაჯულთა ვადამდე გათავისუფლების და გაწვევის წესი გახისახლდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულებით საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა ვადამდე გათავისუფლების და გაწვევის შესახებ.

**მუხლი 83.** გამოკლებულთა ნაცვლად მოსამართლეების არჩევა (დანიშვნა) და მსაჯულების არჩევა

გამოკლებულთა ნაცვლად საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეების, ადმინისტრაციულ მოსამართლეთა დანიშვნა და მსაჯულების არჩევა ხდება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით.

**მუხლი 84.** მოსამართლეთა და მსაჯულთა ხელშეუხებლობა

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეები, აგრეთვე მსაჯულები სასამართლოში მათ მიერ მოვალეობათა შესრულების დროს არ შეიძლება მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ან დაპატიმრებულთა მათი დანიშნავე ან ამრჩევი ორგანოს თანხმობის გარეშე.

არ დაიშვება მოსამართლის, აგრეთვე მსაჯულის დაკავება, იძულებით მოყვანა ან ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიების გამოყენება სასამართლოში მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების დროს.

**მუხლი 85.** მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

მოსამართლე შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისმგებლობაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და მსაჯულთა ვადამდე გათავისუფლების და გაწვევის შესახებ დებულებით გათვალისწინებული წესით:

- 1) სასამართლოში საქმეთა განხილვისას კანონის დარღვევისათვის;
- 2) სხვა სამსახურებრივი გადაცდომისათვის;
- 3) სახელის გამტეხი საქციელისათვის.

## ბ ა რ ი IV

### ადმინისტრაციული მოსამართლეები

**მუხლი 86.** ადმინისტრაციულ მოსამართლეთა დანიშვნა

ადმინისტრაციული მოსამართლენი არიან რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში.

ადმინისტრაციულ მოსამართლედ შეიძლება დანიშნულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, შეუსრულდა 25 წელი, ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა და ფლობს ქართულ ეხას, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენას.



ადმინისტრაციულ მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, ავტონომიურ რესპუბლიკებში იუსტიციის მინისტრები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით, ხუთი წლის ვადით.

**მუხლი 87.** ადმინისტრაციულ მოსამართლეთა უფლებამოსილება

ადმინისტრაციული მოსამართლეები:

განიხილავენ საქმეებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ;

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ახორციელებენ კონტროლს სასამართლო კანცელარიისა და სასამართლო აღმასრულებელთა მუშაობისადმი;

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში იხილავენ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სასამართლოებისა და სხვა ორგანოების გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

**მუხლი 88.** ადმინისტრაციული მოსამართლეების ვადამდე გათავისუფლება

ადმინისტრაციული მოსამართლეები შეიძლება ვადამდე გათავისუფლდნენ კახიანიერების დარღვევისათვის ან მოსამართლის წოდებასთან შეუთვრებელი საქციელისათვის.

## ბ ა რ ი ვ

### საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციის სხვა საკითხები

**მუხლი 89.** სასამართლო აღმასრულებლები

სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულებას, სისხლის სამართლის საქმეებზე განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულებას ქონებრივი გადახდევინების ნაწილში, აგრეთვე სხვა გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა აღსრულებას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აწარმოებენ სასამართლო აღმასრულებლები.

სასამართლო აღმასრულებლები იმყოფებიან სასამართლოებთან და მათ ნიშნავს შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრები.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, სადაც ორი და მეტი სასამართლო აღმასრულებელია, ერთ-ერთი მათგანი დაინიშნება უფროს აღმასრულებლად.

სასამართლო აღმასრულებლის შოთხოვნები სასამართლოს იმ განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების, სხვა გადაწყვეტილებებისა და დადგენილების აღსრულების შესახებ, რომლებიც აღსასრულებელია კანონმდებლობის შესაბამისად, სვალდებულოა ყველა სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოოპერატივისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.

**მუხლი 90.** სასამართლო სხდომის მდივნები

პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები იხილება სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობით.

სასამართლო სხდომის მდივნის უფლებებსა და მოვალეობებს, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში მისი მონაწილეობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო და საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები.

**მუხლი 91.** სასამართლოს აპარატი

მართლმსაჯულების განხორციელების, სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, გახზოგადების, სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, აგრეთვე სასამართლოს სხვა ფუნქციების შესრულებისათვის საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოებში მოქმედებს სასამართლოს აპარატი.

**მუხლი 92.** საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების აპარატის სტრუქტურა და შტატები

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს აპარატის სტრუქტურას და საშტატო რაოდენობას ადგენენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსათვის დადკენილი წესით გამოყოფილი საშტატო რაოდენობის და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატების სტრუქტურასა და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადების და სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და პროპაგანდისათვის მუშაობის ჩასატარებლად და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციათა შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს აპარატის შემადგენლობაში იქმნება განყოფილებები და სხვა სტრუქტურული ქვეგანყოფილებები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებს და განყოფილებებს ჰყავთ უფროსი კონსულტანტები და კონსულტანტები, ინსპექტორები, აგრეთვე სხვა მუშაკები და უმცროსი მომსახურე პერსონალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურას და საშტატო რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საშტატო განრიგს, განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვეგანყოფილებათა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

**მუხლი 93.** საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, რაიონის (ქალაქის) სასამართლებს აქვთ ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და თავისი სახელწოდებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 28 დეკემბერი.

№ 90—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

**392** „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოკვეყნების-  
**ღების თაობაზე**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოკვეყნების-თანავე.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ 1981 წლის 25 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 13, მუხ. 292);

საქართველოს სსრ 1981 წლის 25 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 13, მუხ. 293);

საქართველოს სსრ 1981 წლის 25 ნოემბრის კანონი „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 13, მუხ. 294);

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1981 წლის 25 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამო-

ქმედოდ "შემოღების წესის თაობაზე" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 13, მუხ. 295).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 28 დეკემბერი.

№ 90ა—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

კ ა ნ ო ნ ი

**393** საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეთანხმების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

II. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში:

1) კოდექსის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „საქართველოს სს რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“, „სახალხო სასამართლო“, „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო“, „სახალხო მოსამართლე“, „სახალხო მსაჯული“, „რაიონული (საქალაქო)“ ბეიცივალის შესახებ სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკა“, „სასამართლო“, „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო“, „მოსამართლე“, „მსაჯული“, „რაიონის (ქალაქის)“;

2) პირველი მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„ სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესი საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით;

3) მე-2 მუხლში:

პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა“;

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სისხლის სამართლის სამართალწარმოებამ ხელი უნდა შეუწყოს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, დანაშაულის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, მოქალაქის აღზრდას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების განუხრელად დაცვის სულისკვეთებით“;

4) 6<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სსიპისა და . . . .“;

5) მე-9 მუხლის მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“;

6) მე-12 და მე-13 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 12.** მართლმსაჯულების განხორციელება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე

მართლმსაჯულება სისხლის სამართლის საქმეებზე ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე წარმოშობის, სოციალური, თანამდებობრივი და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, პარტიულობის, სქესის, განათლების, ენის, რელიგიონ-სადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილის და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

**მუხლი 13.** საქმეთა განხილვის კოლეგიურობა

სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეებს განიხილვენ მოსამართლეები, რომლებიც დანიშნული ან არჩეული არიან, და მსაჯულები, რომლებიც არჩეული არიან კანონით დადგენილი წესით.

პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეები განიხილება მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად საქმეები იმ დანაშაულობათა გამო, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, განიხილება მოსამართლისა და ექვსამდე მსაჯულის შემადგენლობით.

დანაშაულობათა საქმეების განხილვისას, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მსაჯულთა რაოდენობის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო სამართალში მიცემის სტადიაში.

მსაჯულები სარგებლობენ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის თანაბრი უფლებით ყველა იმ საკითხის გადაჭრაში, რომლებიც წამოიჭრება საქმის განხილვისა და განაჩენის დადგენის დროს.

საკასაციო და საზედამხედველო წესით საქმეები განიხილება არანაკლებ სამი მოსამართლის შემადგენლობით“;

7) მე-14 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სოციალისტური მართლ-შეგნების შესაბამისად“;

8) მე-15 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკაში სისხლის სამართლის საქმეებზე სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე“;

9) მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 17.** ექვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფ-  
ლების უზრუნველყოფა

ექვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს აქვთ დაცვის უფლება.

მომკვლევე პირი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო არიან უზრუნველყონ ექვმიტანილისათვის, ბრალდებულისა და განსასჯელისათვის კანონით დადგენილი საშუალებებითა და ხერხებით დაცვის შესაძლებლობა, აგრეთვე მათი პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა“;

10) მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 19.** ზემდგომი სასამართლოების ზედამხედველობა სასამართლო საქმიანობისადმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ზედამხედველობას უწევს საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობას, ხოლო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო—შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის და ქალაქ თბილისის სასამართლოების სასამართლო საქმიანობას“;

11) მე-20 მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები“;

მესამე ნაწილში სიტყვები: „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“;

12) 25-ე მუხლში:

პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1) „სასამართლო“ — გულისხმობს რაიონის (ქალაქის) სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს“.

მე-5 პუნქტში ამოღებულ იქნეს სიტყვები „ავტონომიური ოლქის“ „სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს“, „ოლქის“ ხოლო სიტყვები „საქართველოს სსრ პროკურორს“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს“;

13) 32-ე მუხლის სათაურში, ტექსტსა და შენიშვნაში სიტყვები „და ავტონომიური ოლქის სასამართლოს“ ამოღებულ იქნეს.

14) 33-ე მუხლის ტექსტში სიტყვები „ქალაქ თბილისსა და ავტონომიური ოლქში“ შეიცვალოს სიტყვებით „და ქალაქ თბილისის შემადგენლობაში“;

15) 37-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ავტონომიური ოლქის“, „ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე“;

16) 43-ე მუხლის პირველი, მეხუთე და მეექვსე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადვოკატი დაიშვება საქმეში მონაწილეობისათვის ბრალდების წარდგენის მომენტიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილ

პირს დააკავებენ ან მის მიმართ გამოიყენებენ ადვოკატის ღონისძიებას, — ბრალდების წარდგენამდე დაპატიმრების სახით მისთვის დაკავების ოქმის ან ამ ადვოკატის ღონისძიებების გამოყენების შესახებ დადგენილების გამოცხადების მომენტიდან. თუ ამ ვადაში ექვმიტანილის ან ბრალდებულის მიერ არჩეული ადვოკატის გამოცხადება შეუძლებელია. მოკვლევ პირს, გამომძიებელს და პროკურორს უფლება აქვთ შესთავაზონ ექვმიტანილს ან ბრალდებულს სხვა ადვოკატის მოწვევა ან უზრუნველყოფენ მას ადვოკატი იურიდიული კონსულტაციის ძეშვევებით.

იურიდიული კონსულტაციის გამგე ან ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი ვალდებული არიან გამოიყონ ადვოკატი ექვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის დასაცავად. იურიდიული კონსულტაციის გამგეს ან ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს, აგრეთვე მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოს, პროკურორს, სასამართლოს, რომელთა წარმოებაშიც არის საქმე, უფლება აქვთ გაათავისუფლონ ექვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი მთლიანად ან ნაწილობრივ იურიდიული დახმარების საზღაურის გადახდისაგან.

იურიდიული კონსულტაციის გამგის ან ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ საზღაურის გადახდისაგან გათავისუფლების შემთხვევაში ადვოკატის შრომის ანაზღაურება ხდება ადვოკატთა კოლეგიის სახსრების, სხვა შემთხვევებში — სახელმწიფოს ხარჯზე. ადვოკატთა შრომის ანაზღაურების ხარჯები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით ანაზღაურდება ბიუჯეტის ხარჯზე იმ შემთხვევაში, როცა ადვოკატი მონაწილეობდა მოკვლევაში, წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში — დანიშვნის შედეგად. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოსათვის ხარჯების ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მსჯავრდებულს. ადვოკატის შრომის სახელმწიფოს ხარჯზე ანაზღაურებისას მოკვლევს, გამომძიებელს, პროკურორს გამოაქვთ დადგენილება ან სასამართლოს განჩინება, რომელიც ერთდროულად ეგზავნება მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს ადგალსამყოფლის მიხედვით იურიდიულ კონსულტაციას ცნობისათვის და საფინანსო ორგანოს შესასრულებლად“:

მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „აგრეთვე სხვა პირები“

17) 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 44.** დამცველის სავალდებულო მონაწილეობა სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში

დამცველის მონაწილეობა მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის დროს სავალდებულოა არასრულწლოვანთა, ყრუ-მუნჯთა, უსინათლოთა და სხვა ისეთ პირთა საქმეებზე, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ ძალუძთ თავად განახორციელონ თავიანთი დაცვის უფლება, აგრეთვე ისეთ პირთა საქმეების გამო, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოებაში ხმარებულ ენას. ასეთ შემთხვევაში დამცველი დაიშვება საქმეში მონაწილეობისათვის ამ კოდექსის 43-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული მომენტიდან.

ისეთ დანაშაულობათა ჩადენაში ბრალდებულ პირთა საქმეების გამო, რომლებსთვისაც დასჯის ღონისძიებად შეიძლება სიკვდილით დასჯა დანიშნოს, დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა ბრალდების წარდგენის მომენტიდან.

სასამართლო განხილვის დროს დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა ისეთ საქმეებზე, რომლებშიც მონაწილეობს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ბრალდებელი, აგრეთვე განსასჯელთა ინტერესებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას, თუ ერთ მათგანს მაინც ჰყავს დამცველი.

თუ ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში თვით ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი დავალებით სხვა პირებს დამცველი არ მოუწვევიათ, სასამართლო ან შესაბამისად პროკურორი, გამოძიებელი და მომკვლვეი ვალდებული არიან უზრუნველყონ დამცველის მონაწილეობა საქმეში“;

18) 52<sup>1</sup> მუხლში, 63-ე მუხლის პირველ ნაწილში, 117-ე მუხლის მესამე პუნქტში, 376-ე მუხლის პირველ ნაწილში და 385-ე მუხლებში ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის და“, „და სოციალისტური მართლშეგნებით“, „სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებისა და“, „სსრ კავშირის და“, „და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმში“, „და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს“, „ან ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის“, „ან ავტონომიური ოლქის სასამართლოს“, „და ავტონომიური ოლქის“, „და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს“;

19) 88-ე, 89-ე, 130-ე და 134-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“, „ავტონომიური ოლქის პროკურორმა“, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორმა“, ზოლო სიტყვები „საქართველოს სსრ პროკურორის“, „საქართველოს სსრ პროკურორმა“, შეიცვალა სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის“ და „საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა“;

20) 114-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“;

21) 119-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მეორე პუნქტი, მესამე პუნქტი ჩიოვალის მეორე პუნქტად.

22) 142-ე მუხლის მეოთხე ნაწილში, 153-ე მუხლის პირველ, 168-ე მუხლის პირველ ნაწილში; 174-ე მუხლის მეხუთე ნაწილსა და 177-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს“ შეიცვალა სიტყვებით „მმართველობის ადგილობრივ ორგანოს“;

23) 202-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვის „მონაწილეობს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „დაკავების ან“;

24) 241-ე მუხლში სიტყვების „კანონით დადგენილი წესით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „დანიშნული ან“;

25) 374<sup>2</sup>, 374<sup>3</sup> 375-ე, 376-ე და 388-ე მუხლებში სიტყვები „სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან“ შეიცვალა სიტყვებით „მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან“.



26) 382-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს და მათ მოადგილეებს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე. გარდა ამისა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე“.

ამხვე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“, ხოლო მეოთხე ნაწილში სიტყვები „ასსრ უმაღლესი“, „ასსრ პროკურორს“ შეიცვალოს სიტყვებით „ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი“, „ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს“; სიტყვები „ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს“, „და ავტონომიური ოლქის სასამართლოს“, „ავტონომიური ოლქის პროკურორს“. ამოღებულ იქნეს;

27) 384-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მათ მოადგილეებს ზედამხედველობის წესით საქმის გადაწყვეტამდე უფლება აქვთ შეაჩერონ საქართველოს რესპუბლიკის ნებისმიერი სასამართლოს გაპროტესტებული განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება“, გარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებისა“;

28) 388-ე და 397-ე მუხლებში სიტყვები „საქართველოს სსრ პროკურორის“, „რესპუბლიკის პროკურორი“, „საქართველოს სსრ პროკურორი“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „რესპუბლიკის გენერალური პროკურორის“, „რესპუბლიკის გენერალური პროკურორი“, „საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი“; სიტყვები „ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის“, „ავტონომიური ოლქის პროკურორი“, ავტონომიური ოლქის“ ამოღებულ იქნეს.

2. საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში:

1) კოდექსის დასაბეღებასა და ტექსტში სიტყვები „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „საქართველოს სს რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“, „უმაღლესი სასამართლო“, „სახალხო სასამართლო“, „სახალხო მოსამართლე“, „სახალხო მსაჯული“, „რაიონული (საქალაქო)“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს რესპუბლიკა“, „უზენაესი სასამართლო“, „სასამართლო“, „მოსამართლე“, „მსაჯული“, „რაიონის (ქალაქის)“;

2) პირველი მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„სამოქალაქო საქმეების წარმოების წესი საქართველოს რესპუბლიკის ყვე-  
ლა სასამართლოში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო  
სამართლის საპროცესო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით“;

მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და . . .“;

3) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანაა მოქალაქეთა კანონით დაცუ-  
ლი ინტერესების, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორ-  
განიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებებისა და სხვა  
საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებათა და კანონით დაცული ინტერე-  
სების დაცვის მიზნით სამოქალაქო საქმეების სწორი და სწრაფი განხილვა და  
გადაწყვეტა“;

4) მე-5 მუხლში სიტყვის „სოციალური“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „თანამ-  
დებობრივი“, ხოლო სიტყვის „კუთვნილების“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „პარ-  
ტიულობის“;

5) მე-6 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოში სამოქალაქო საქმეებს  
განიხილავენ კანონით დადგენილი წესით არჩეული (დანიშნული) მოსამართლე-  
ები და არჩეული მსაჯულები“;

6) მე-8 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სოციალისტური მართლ-  
შეგნების შესაბამისად“;

7) მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიურ რესპუბ-  
ლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე“;

8) მე-12 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასამართლო ვალდებულია საქმეები გადაწყვიტოს საქართველოს რესპუბ-  
ლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების კანონების, სახელმწიფო მმართველობის  
უმაღლესი ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე. სასამართლო იყენებს  
აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ორგანოების  
მიერ მისთვის მიხიჭებული კომპეტენციის ფარგლებში გამოცემულ აქტებს“;

9) მე-13 მუხლში:

პირველი ნაწილი ამოღებულ იქნეს;

ამ მუხლის მეორე ნაწილი შესაბამისად ჩაითვალოს პირველ ნაწილად, მე-  
სამე ნაწილი — მეორე ნაწილად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასა-  
მართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო ზედამხედველობას ახორციე-  
ლებენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქ თბილისის რაიო-  
ნების სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე“;

### 10) მე-14 მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამოქალაქო სამართალწარმოებაში კანონების ზუსტად და ერთგვაროდანდ შესრულებისადმი ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები“;

მესამე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

11) 28-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებიდან, 122-ე მუხლის მეორე ნაწილიდან, 129-ე მუხლიდან, 298-ე მუხლის პირველი ნაწილიდან და 341-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და ავტონომიური ოლქის სასამართლოში“, „და ავტონომიური ოლქის სასამართლოს“, „და ავტონომიური ოლქის“, „ან ავტონომიური ოლქის სასამართლოსათვის“, „ავტონომიური ოლქის“, „და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე“, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო“, „ავტონომიური ოლქის სასამართლოს“, „ავტონომიური ოლქის პროკურორი“;

12) 47-ე მუხლის მეორე ნაწილში, 117-ე მუხლის მე-2 ნაწილში, 118-ე მუხლში, 120-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატების სადაბო ან სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების“ და „ან სახალხო დეპუტატების სადაბო ან სასოფლო საბჭოს“ შეიცვალოს სიტყვებით „მმართველობის ადგილობრივი ორგანოების“ და „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების“;

### 13) 248-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განცხადებას მოქალაქეებისათვის გადასახადების, სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის და სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის ნარჩენების გადახდევინების შესახებ შეიტანს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საფინანსო განყოფილება ან სახელმწიფო დაზღვევის ორგანო სასამართლოში მენარჩენის საცხოვრებელი ადგილის ან მისი ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით“;

14) 252-ე მუხლში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვით „მოქმედი“;

### 15) 294-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ავტონომიური რესპუბლიკებისა და თბილისის რაიონის სასამართლოების გადაწყვეტილებანი, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არიან შესული, შეიძლება გასაჩივრდეს ან გაპროტესტდეს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიაში, ხოლო გადაწყვეტილებები, გამოტანილი რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მიერ, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიურ რესპუბლიკაში და ქ. თბილისში, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც არ არიან კანონიერ ძალაში შესული, — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიაში“;

16) 331-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების გარდა, შეიძლება გადაისინჯოს სასამართლო ზედამხედველობის წესით ამ კოდექსის 332-ე მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა პროტესტების საფუძველზე“;

17) 332-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროტესტის შეტანის უფლება აქვთ:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორსა და მათ მოადგილეებს — რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე. გარდა ამისა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე;

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს, თბილისის ქალაქის პროკურორს — რაიონის (ქალაქის) სასამართლოს გადაწყვეტილებასა და განჩინებაზე და შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაზე, თუ ისინი განიხილავენ საქმეს საკასაციო წესით“;

18) 335-ე მუხლში:

პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი“;

მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ პირველი ინსტანციის ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას შონაწილეობას იღებდა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ან თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა, შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს სხვა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში საქმის გაგზავნის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად.“

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს პროტესტებს ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს, აგრეთვე იმ რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მიერ გამოტანილ, კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის შემადგენლობაში არ შედიან,

თუ ეს გადაწყვეტილებანი და განჩინებანი არ ყოფილა საკასაციო განხილვის საგანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოში, აგრეთვე პროტესტებს ყველა ზემოაღნიშნული სასამართლოს მოსამართლეების დადგენილებებზე“.

მე-4 ნაწილში სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე“ შეიცვალოს სიტყვებით „და თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე“;

19) 352-ე მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტებში და 353-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებში სიტყვები: „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილება“ შეიცვალოს სიტყვებით: „მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილება“.

II. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 28 დეკემბერი.  
 № 91—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის  
 კ ა ნ ო ნ ი

**394** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროის შესახებ  
 დეკლარაციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროის შესახებ (თან ერთვის).
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროის შესახებ დებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 6, მუხ. 109.).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 28 დეკემბერი.  
 № 92—I ს.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო დროშა არის მართკუთხედის ფორმის ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ქსოვილი, რომელსაც ტარის მხარეს, ზედა კუთხეში აქვს შავი (ზემოთ) და თეთრი (ქვემოთ) ზოლები. დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 3:5, თითოეული ზოლის (შავისა და თეთრის) სიგანე არის დროშის სიგანის 1/5, ხოლო სიგრძე — დროშის სიგრძის 2/5.

**მუხლი 2.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა აღიმართება:

ა) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობაზე — მუდმივად, აგრეთვე იმ შენობაზე, სადაც ტარდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია, — სესიის მთელ პერიოდში;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობაზე — მუდმივად;

გ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს შენობაზე — მუდმივად, აგრეთვე იმ შენობაზე, სადაც ტარდება სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს სხდომები, — სხდომების მთელ პერიოდში;

დ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოს შენობაზე — მუდმივად;

ე) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების შენობებზე — მუდმივად, აგრეთვე იმ შენობებზე, სადაც ტარდება აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების სესიები, — სესიის მთელ პერიოდში;

ვ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების შენობებზე — მუდმივად;

ზ) საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების შენობებზე:

1 იანვარს — ახალ წელს;

7 იანვარს — უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღეს;

19 იანვარს — ნათლისღებას — უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს განცხადების დღეს;

უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს (თარიღი გარდამავალია);

მიცვალებულთა ძონსენიების დღეს (აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, თარიღი გარდამავალია);

26 მაისს — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს;

28 აგვისტოს — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარია-მოხას);

14 ოქტომბერს — მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღეს;

23 ნოემბერს — გიორგობის დღეს.

ნებადართულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა ამ მუხლში მითითებულ შენობებზე აღმართოს სხვა დღესასწაულებსა და სამახსოვრო დღეებშიც;

თ) საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების შენობებსა და მიმოსვლის საშუალებებზე — თანხმად საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციისა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო;

ი) საზღვაო გემებსა და საზღვაო მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომელთა ძიწერის ადგილია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია;

კ) საზღვაო და შინაგანი მიმოსვლის გემებსა და მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომლებზეც ოფიციალური პირების სახით იმყოფებიან: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან სხვა პირები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლები და კონსულები — აღნიშნულ პირთა თანხმობით;

დ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა შეიძლება აღმართოს აგრეთვე სახელმწიფო ან სხვა საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ცერემონიებისა და სხვა საზეიმო ღონისძიებების დროს.

**მუხლი 3.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშასთან ერთად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშების, აგრეთვე სხვა ქვეყნების დროშების აღმართვის დროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის ზომა არ შეიძლება იყოს ავტონომიური რესპუბლიკის ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო დროშის ზომაზე ნაკლები.

**მუხლი 4.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა და მისი გამოსახულება, მიუხედავად ზომისა, ყოველთვის ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს კანონს თანდართულ ფერად და სქემატურ გამოსახულებას.

**მუხლი 5.** ამ დებულების გამოყენების წესს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის  
კ ა ნ ო ნ ი

**395** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დე-  
კლარაციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერ-  
ბის შესახებ (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზი-  
დიუმის 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულება „საქართველოს საბჭოთა სოცია-  
ლისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ დებულების დამტკიცე-  
ბის თაობაზე“ (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 6,  
მუხ. 108).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 28 დეკემბერი.

№ 93—I ს.



## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ოქროსფერი ჩუქურთმით შემოსაზღვრული შვიდექიმიანი ვარსკვლავი, რომელსაც ორნამენტში ქიმების გასწვრივ ჩაწნული აქვს შვიდი შავარშიიანი თეთრი ბოლნური ჯვარი. როგორც ჯერების, ასევე ვარსკვლავის ქიმების შიდა ველები ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზეც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში საბრძოლოდ შექართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი უპყრია, ხოლო მარცხენაში — ოქროსზოლიანი ფარი.

თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წაღები, შემოსილია ვერცხლისფერუჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსასხამით, ჯავშნის ქვეშ მოუჩახს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი.

თეთრი გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტყავი, უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი — ვერცხლისა.

თეთრი გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავითა ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ — ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.

თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი.

**მუხლი 2.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულება თავსდება:

ა) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოების შენობებზე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების შენობებზე (აბრებზე), აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების შენობებზე;

ბ) დარბაზებში, სადაც ტარდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სხდომები, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების სასამართლო სხდომათა დარ-

ბაზებში, აგრეთვე დაბადებისა და ქორწინების საზეიმო ოეგისტრაციის შენობებში;

გ) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოების, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების, სახელმწიფო სახორარო კანტორების, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბეჭდებსა და დოკუმენტების ბლანკებზე, „რომელთაც ბეჭდებსა და დოკუმენტების ბლანკებზე გერბის გამოსახულების მოთაქსების უფლება მიიჩიებელი აქვთ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით;

დ) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ოფიციალურ გამოცემებზე;

ე) საქართველოს რესპუბლიკის ფულსა და ლატარიის ბილეთებზე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულების სავალდებულო რეპროდუცირების სხვა შემთხვევებიც.

**მუხლი 3.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულების რეპროდუცირება, მისი ზომების მიუხედავად, ყოველთვის ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს გერბის ფერად ან შავთეთრ გამოსახულებას, რომელიც თან ერთვის ამ დებულებას.

**მუხლი 4.** ამ დებულების გამოყენების წესებს გამოსცემს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

საპარტვილოს რესპუბლიკის  
კ ა ნ ო ნ ი

**396** საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

„არსებული უქმე დღეების გაუქმებისა და ტრადიციულთა აღდგენის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 22 ნოემბრის კანონის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 6, მუხ. 118; 1977 წ., № 11, მუხ. 158) და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 64. უქმე დღეები**

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ შემდეგ უქმე დღეებში:

1 იანვარს — ახალ წელს;

7 იანვარს — უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღეს;

19 იანვარს — ნათლისღებას — უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს განცხადების დღეს;

უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს (თარიღი გარდამავალი);

შიცვალეზულთა მოხსენიების დღეს (აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი, თარიღი გარდამავალი);

26 მაისს — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს;

28 აგვისტოს — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას),

14 ოქტომბერს — მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღეს;

23 ნოემბერს — გიორგობის დღეს.

უქმე დღეებში დასაშვებია მხოლოდ ისეთი სამუშაოები, რომელთა შეჩერება შეუძლებელია საწარმოო-ტექნიკური პირობებით (უწყვეტად მოქმედი საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია), სამუშაოები, რომლებიც გამოწვეულია მოსახლეობის მომსახურების აუცილებლობით, აგრეთვე გადაუდებელი საავარიო-სარემონტო და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბამბახაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
დადგენილება

**397** კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების  
აპრძალვის შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი შინაგანი ქარების — ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ, რაც აძლევს შესაძლებლობას საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს მოიხადონ თავიანთი საპატიო ვალი სამშობლოს წინაშე, და აგრეთვე მხედველობაში იღებს რა იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკაში მოქმედ კანონით გაუთვალისწინებელ ფორმირებებს დესტაბილიზაცია შეაქვთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, საფრთხეს უქმნიან სამოქალაქო მშვიდობას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და კანონით დაცულ ინტერესებს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს რესპუბლიკაში კანონით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნა და მოქმედება.

2. წინადადება მიეცეთ კანონით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებებში გაერთიანებულ პირებს ერთი თვის ვადაში ჩააბარონ იარაღი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს.

3. დადასტურდეს, რომ ამ დადგენილების მეორე პუნქტში აღნიშნული პირები თუ დათქმულ ვადაში ნებაყოფლობით ჩააბარებენ იარაღს, მათ მიმართ არ იქნება გამოყენებული კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ზოპებში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 28 დეკემბერი.

№ 95—I ს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
დადგენილება

**398** საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო არხიტრის  
დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:  
დაინიშნოს ევტიხი შალვას ძე ბენდელიანი საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო არხიტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1990 წლის 28 დეკემბერი.

№ 96—I ს.

## განყოფილება მისამე

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ს ს ღ რ ე მ ბ ი

11 დეკემბერს გაიძარტა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სსდოშა. დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

კამათში მოხაწილეობდნენ დეპუტატები ალექსანდრე ვარძელაშვილი, ალექსანდრე ქობულაშვილი, ავთანდილ შარგინი, ხოდარ ხათაძე, ლოვარდ ტუხაშვილი, ახდრია აფაქიძე, ფოტი ჩიტლოვი, ვლადიმერ მირცხულავა, თეიმურაზ გვახცელაძე, ლევან ალექსიძე. დეპუტატების წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამმართველოს უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი პენრიხ მალიუშკინი.

სესიამ ერთხმად მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მიღებულია აგრეთვე კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგახგებო მდგომარეობის გამოცხადების წესის საკითხი, რაც მოახსენა სესიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და შართლწესრიგის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვაჟა ადამიამ. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ხოდარ ხათაძე, მხეკელა მათიძე, ეთერ გუგუშვილი, რომან გოცირიძე, ხუგზარ შოლოდინაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგახგებო მდგომარეობის გამოცხადების წესის შესახებ.

სესიამ შოისმინა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ხუგზარ შოლოდინაშვილის ინფორმაცია და მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

სესიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დანიშვნის საკითხი. განისაზღვრა ამ არჩევნების მოწყობის თარიღი — 1991 წლის 3 მარტი. მიღებულია აგრეთვე დადგენილება ზოგიერთ საარჩევნო ოლქში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ გაათავისუფლა გურამ მგელაძე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის — რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

გახსნადებებით და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები ნინო შვილი, ბიძინა დანგაძე.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას მოუწოდა ახლანდელ რთულ სიტუაციაში დაიცვას სიმშვიდე, ხელი შეუწყოს მდგომარეობის სტაბილიზაციას და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, ყველაფერი იღონოს სესიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.



13 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა. მისი გახსნისას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ წინა დღეს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადებისა და იქ კომუნდანტის საათის შემოღების შესახებ. ახლა სესიამ უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და მიიღოს შესაბამისი დადგენილება.

ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების ტექსტი წაოკითხა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნუგზარ მლორდინაშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, თედო პატაშვილი, დავით კუპრიაშვილი, ლევან ალექსიძე, გიორგი ხავთასი, გიორგი გულბანი, ომარ ელოშვილი, ვლადიმერ მირცხულავა, ავთანდილ იმნაძე, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურაიანი, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი და სხვები.

ტექსტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.



20 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა.

სესიამ იმსჯელა კანონზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ და მიიღო იგი პირველი წაკითხვით, დაამტკიცა უზუ-



ხაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულება უზენაესი საბჭოს სხდომების დროებით რეგლამენტში შეიტანა ცვლილება, ასევე შეიტანა ცვლილება და დამატება რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში, უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისია გარდაქმნა უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისიად, იმსჯელა უზენაესი საბჭოს საძღვინოს აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ, ვახილა სხვა საკითხებიც.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

\* \* \*

1990 წლის 27 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც გახსნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

დეპუტატებმა პატივი მიაგეს საავტომობილო კატასტროფაში დაღუპული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის ბუხულა ჯაფარიძის ხსოვნას.

შემდეგ სესია შეუდგა დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო ამნისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე კანონის პროექტი, რომელიც მიიღეს.

1991 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ გიგინეი, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ თმარ გარძელაშვილმა.

ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ავთანდილ იმნაძე, ხოდარ ხათაძე, ნუგზარ შვალაბაძე, გურამ ქაშაყაძე და სხვები.

მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა გურამ აბსანაძემ.

ამ საკითხის გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ დეპუტატები მიაი მაჭავარიანი, გურამ პეტრიაშვილი, ანზორ საკანდელიძე, ლოვარდ ტუხაშვილი, რამაზ სურმანიძე, და სხვები.

